3582/2
1908

მნათობი

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 1. 16 ნოემბერი 1908 წ. ფასი 10 კაპ.

შინაარსი: ნამესტნიკის დაბრუნების გამო.—პარტიობა და უპარტიობა, ლ. კანდელისა.—მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, ე—მისა.—უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, ივ. გომართელისა.—სახელმწიფო დუმა.—შინაური ქრონიკა.—კვირიდინ-კვირამდე (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი, ბალკანეთი, ჩინეთი, ამერიკა).—სომეხთა შორის.—მუსულმანთა შორის.—წერილი ავსტრიიდან, მ. მგალობლიშვილისა.—აკაკის იუბილეის გამო, ნ. ჯანაშიასი.—მშ ერის ამონაკვნესი (ლექსი), გ. ქუჩიშვილისა.—მეფე შიმშილი, ლეონიდ ანდრეევისა, თარგმანი განდეგილისა.—მწერლობა და მწერლები.—განცხადება.

ქ. თფილისში 16 ნოემბრიდან გამოდის ყოველ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

„მნათობი“

3582

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მან.; საზღვარ-გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ.; 16 ნოემბრიდან წლის დამლევამდე 60 კ.

ცალკე ნომერი 10 **კაპ.**

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და ქ. შ. წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან.

რედაქციის ადრესი: Красногорская ул. д. № 16.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Редакція „Мнатоби“, Красногорская ул. д. № 16, Георгію Андукапаровичу Чхеидзе.

ნამესტნიკის დაბრუნების გამო.

თფილისი, 16 ნოემბერი.

ჩვენს მოჭრუშულ პოლიტიკურ ცაზე ამ ბოლო ხანებში ერთ საყურადღებო მოვლენათ, უეჭველია, უნდა ჩაითვალოს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის თავის პოსტზე დაბრუნება. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ნამესტნიკის წინააღმდეგ, როგორც იცით, „ჭეშმარიტ რუსებსა“ და სრულიად რუსეთის შავრაზმელთა მხრივ სწარმოებდა მეტათ ცხარე კამპანია, რომელიც ჯერაც საბოლოოთ არ გათავებულა. „რუსულ ხალხოსნობის“ მებაირაღტრე „ჭეშმარიტობა“ ესწრაფის კავკასიაში სრულიად გაუქმდეს ნამესტნიკობა, ქვეყანა დაიყოს პატარა „სამეფოებათ“, რომელნიც უნდა იმყოფებოდენ გენერალ-გუბერნატორთა სრულს განკარგულებაში. „შავი მხედრობა“ „ნოვ. ვრემიას“ მეთაურობით ქვეყანას არწმუნებს, რომ ნამესტნიკს არ გააჩნია ძლიერ მთავრობის უნარი, რომ ის ერთგვარ მფარველობასაც კი უწევს კავკასიის ოპოზიციონურ ძალებს და, ასე გასინჯეთ, თვით რევოლიუციონურ პარტიებს. თუ რამდენათ უსაფუძვლო და უტიფარი ცილის წამებაა ასეთი ბრალდება, ამას—შორს რომ არ წავიდეთ—კარგათა ჰმოწმობს თუნდ ის გარემოება, რომ ნამესტნიკის დაბრუნებისას, თითქმის სულ რამდენიმე დღის განმავლობაში, აქ ადმინისტრატიულ წესით დაიხურა შემდეგი პერიოდიული გამოცემანი: „იმედი“, „ამირანი“, „მზე“, „ჩვენი კვალი“, „მათრახი“, „შუქი“..

ის კი მართალი არის, რომ ნამესტნიკი გამსჭვალულია კეთილი განზრახვებით, იგი მსურველია, რომ ხალხი ბედნიერი იყოს, რომ ქვეყანაზე სუფევდეს „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“; ვინ იცის, იქნება უმაღლესი გამგე იმის მსურველიც არის, რომ თვით მიყრუებულ სოფლის უკანასკნელი გლეხი ყოველ დღე შემწვარ ქათამს შეექცეოდეს... მაგრამ ისიც მართალია, რომ ამით მწარე სინამდვილეს ოდნავათაც არ ეკარგება მკაცრი ელფერი. ქვეყნის სასიცოცხლო და შემოქმედებითი ძალები, ეხლაც, როგორც ყოველთვის, გათანგულია იძულებით უმოქმედებაში; ჩვენი სოფლის გლეხი, გარშემორტყმული შიშველ-ტიტველ და ნახევრათ მშიერ-მწყურვალ ცოლ-შვილით, დაღონებულ-დაძმარებული მისჩერებია გაციებულ კერას. ადგილ-მამულის სივიწროვით შეწუხებულნი, ძმა-ძმას სასიკვდილოთ არ ინდობს ერთ ციდა მიწისათვის. და ამავე დროს, სათანადო უწყებაში პროექტი-პროექტზე დგება, რათა გაძ-

1

ლიერებულ იქმნას რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლება. მთავრობა წლითი-წლობით უფრო და უფრო დიდძალ ფულსა ჰხარჯავს გადმოსახლების გასაფართოებლათ; გადმოსახლების საქმე შეუჩერებლივ წინ მიდის...

მაგრამ, ვიმეორებთ, ის კი სრულიად მართალია, რომ ნამესტნიკი გამსჭვალულია კეთილი განზრახვებით. იგი მართლაც მოწადინებულია ერთგვარ ლიბერალურ რეფორმების განხორციელებას და აი, სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელთ ნამესტნიკს, დაბრუნებისას გულ-თბილი შეხვედრა გაუმართეს. „თქვენი დაბრუნებაო—განუცხადა ნამესტნიკს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ბ-ნ პ. თუმანიშვილმა—გვინერგავს რწმენას, რომ მალე დაგვიდგება ნორმალური, უფლებრივი ცხოვრება, რასაც აგრე მოწყურებულია ქვეყნის დაღლილი და გატანჯული ხალხი“. „მცხოვრებნიო—ღადად ჰყო ქალაქის თავმა, ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა—მოწყურებულნი არიან მშვიდობასა და დაწყნარებას“ და მათ იმედი უღვივდებათ, რომ კვლავ ჰპოვებენ ნამესტნიკისაგან ჰუმანიურ მოპყრობას თავის საჭიროებათადმი; მოიხმეთ—დასძინა ვაჭრების წარმომადგენელმა, ბ-ნ მერკვილაძემ—ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ძალები, რომელნიც მთელის არსებით და აღფრთოვანებით დაგეხმარებიან თქვენ მიერ განზრახულ რეფორმების განხორციელებაშიო“.

ასე შეჰხაროდენ და შეჰღაღადებდენ ნამესტნიკს ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელნი. ისინი უკვე განსჭვრეტდენ, რომ გრაფის დაბრუნებით „счастье такъ близко, такъ возможно“ („ბედნიერება ასე ახლოა, ასე შესაძლებელია“) და უკვე განიცდიდენ წინასწარ კმაყოფილება-სიამოვნებას ამ ლიტანიის თანაზიარი არა ყოფილა მხოლოდ მდაბიო ხალხი. ეს ერთობ ეჭვითა და უნდობლობით უცქერის მთავრობისაგან განზრახულ რეფორმებს და ამ რეფორ. თვით მოწადინებასაც. და—უნდა აღვიაროთ—ხალხის უნდობლობა როდია საფუძველს მოკლებული. მოგეხსენებათ მთავრობის ცნობილი „აფორიზმი“: „ჯერ დაწყნარება და მერე რეფორმები“, ხოლო „დაწყნარების“ !აზომათ მიღებულია რაიმე „განსაკუთრებულ მდგომარეობის“ არსებობა თუ არ არსებობა. იქ, სადაც კვლავ ძალაშია „გაძლიერებულ დაცვის წესები“, „არა ჩვეულებრივი დაცვა“, „სამხედრო მდგომარეობა“ და სხ. იქ, მთავრობის აზრით, ხალხი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა და მაშასადამე რეფორმებიც ნაადრევია. „განსაკუთრებულ მდგომარეობათა“ აღებ-დაღება კი, მოგეხსენებათ, ხალხის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ჩვენს ქვეყანაში ხომ სამხედრო მდგომარეობა ლამის ჩვეულებრივ მართვა-გამგეობის სისტემათ გადაიქცეს. ცხადია, რეფორმებიდან ჩვენ კიდევ „გვარიანი“ !ანძილითა ვყოფილვართ დაშორებულნი ამას დასძინეთ ის ფაქტიც, რომ სახ. დუმის განსახილველ მრავალ კანონ-პროექტებ შორის კავკასიის შესახებ არაფერი არ მოიძებნება. მაშ, რეფორმებამდის ჯერ კიდევ ბევრი მამალი იყივლებს.

რეფორმების სიშორეს ჩვენ გვაფიქრებინებს კიდევ სხვა, უფრო სერიოზული გარემოება. საქმე ის არის, რომ ჩვენს ქვეყანას, ისე, როგორც მთელს იმპერიას, **რეფორმებამდის** ესაჭიროება **ერთი რეფორმა:** თვითნებობა, ძალ-მომრეობის ადგილას უნდა ჩამოვარდეს ნორმალური მდგომარეობა, ადმინისტრატიულ განსჯის ნაცვლათ უნდა გამეფდეს კანონი და სასამართლო. მხოლოდ ძირითად ცვლილების შემდეგ დაიწყება ხანა ნამდვილ რეფორმებისა. ამ უკანასკნელთა მიმართულებას კი აღნიშნავს ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენელნი არიან სხვა და სხვა სარწმუნოების, ენისა და ეროვნების ხალხნი. მაშასადამე, სახელმწიფოს საერთო დემოკრატიზაციის დროს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ უნდა იქმნას ნაციონალურ უმცირესობათა უფლებანი, განაპირა ქვეყნებს—და მათ შორის ჩვენს მხარესაც—უნდა მიენიჭოს ავტონომია.

პარტიობა და უპარტიობა.

პოლიტიკა და პოლიტიკური პარტიობა რუსეთის თავჩაქინდრულ მცხოვრებისათვის ჯერ კიდევ გუშინ, სრულიად უცნობი ხილი იყო. მაგრამ დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა ბრმებს მხედველობა მიეცათ, ყრუები სმენათ გადაიქცენ, მუნჯები ამეტყველდენ, მაშინ თვით „უსუსური ბავშებიც“ სახელმწიფო საქმეებზე მსჯელობდენ და პოლიტიკურ პარტიებს „კრიტიკის ქარცეცხლში“ ატარებდენ. ყველანი ამა თუ იმ პარტიაში ეწერებოდენ, ამა თუ იმ პარტიას ეკედლებოდენ. განვლო კიდევ ცოტა ხანმა და სურათი ისევ შეიცვალა. „პოლიტიკამ შთანთქა ყველაფერი, პოლიტიკურმა პარტიობამ მოინარიკლა და ინაცვალა ყველაფერი, პოლიტიკამ და პარტიებმა დაგვანელეს, სიცოცხლე გაგვიმწარესო“ ჩივიან, დრტვინავენ „გულ-კეთილი“ და კვალათ თავ-ჩაქინდრული მცხოვრებნი.

პრიხოლოგიის ეს უკანასკნელი ცვლილება ადვილათ გასაგებია. პარტიობა ჩვენს ცხოვრებაში რევოლიუციასთან ერთად შემოიჭრა, რისთვისაც პოლიტიკა, პარტიობა და რევოლიუცია თითქმის სინონიმებათ გადაიქცა; და აბა რალა საკვირველია თუ რეაქციისაგან წელში გატეხილი ხალხი ზურგს შეაქცევდა ყოველგვარ პარტიას და ცხოვრების სიბრძნეთ უპარტიობას დაისახავდა. რუსეთში რომ „პარტიას“ მართლა ნათესაობა აქვს „რევოლიუციასთან“, ამასა მოწმობს თუნდ ის გარემოება, რომ ისეთი „კეთილსაიმედო პირნი, როგორნიც არიან ოქტომბრისტები, „ჭეშმარიტი რუსები“ თუ შავრაზმელები, თავიანთ პოლიტიკურ ორგანიზაციებს პარტიას კი არ უწოდებენ, არამედ კავშირს ანუ კრებულს („17 ოქტ. კავშირი“, „რუსის ხალხის კავშირი“, „შეერთებულ თავად-აზნაურთა კრებული“ და სხ.).

მაგრამ აღნიშნული გარემოება არ იძლევა საკით-

ხის სრულ განმარტებას. პარტიობასა ჰგმობენ და უპარტიობას ეთაყვანებიან ბევრი ისეთი პირებიც, რომელნიც გულწრფელათ მსურველნი არიან ცხოვრების განახლების და ახალ, კონსტიტუციონურ წყობილების დამყარებისა, ამათი აზრით, პარტიობა განმათავისუფლებელ მოძრაობის დამლუპველია; პარტიობა ხალხის ძალებს აცალკევებს, ჰქსაქსავს და, მაშასადამე, ასუსტებს და აუძლურებს. ამიტომ აღნიშნული „გულ-კეთილი“ პროგრესისტები შესაწყნარებელათ სცნობენ მხოლოდ ორ ბანაკს: ერთს შეადგენენ ძველი რეჟიმის დამცველნი, ყველა ბნელი ძალები და მეორეს—ცხოვრების განახლებისა და თავისუფლების ყველა მომხრენი.

პარტიობასა და უპარტიობაზე ასეთი შეხედულების მთელი მიზეზი არის რუსეთის იმპერიის საერთო უკან ჩამორჩენილობა და განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრების განუვითარებლობა. ჩვენში, არამც თუ ხალხის ფართო მასსას, თვით საგრძნობელ საზოგადოებრივ წრეებსაც ჯერ კიდევ არ შეუგნიათ თუ რა არის პოლიტიკური პარტია, ნამდვილათ რა აზრი აქვს პარტიებათ დაყოფას და ან რასა ჰქვიან პოლიტიკა.

ამ საკითხთა გაგება და შეთვისება ხალხს არ შეუძლიან მარტოოდენ თეორეტიულ მსჯელობისა და სიტყვიერ ქადაგების მოსმენით; მას აუცილებლათ სჭირია ცოცხალი მაგალითები, ცხოველი პრაქტიკა, საკუთარი გამოცდილება. საამისო პირობები კი რუსეთის ხალხს უკანასკნელ დრომდე სრულებით არა ჰქონია. რუსეთში თვით პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, გაჩნდენ მხოლოდ 1905 წ., როცა 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხი მოწოდებულ იქმნა ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებათ, როცა ამ რიგათ, ქვეშევრდომი მოქალაქეთ იქცა და პირდაპირ ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქტიური მონაწილე გახდა სახელმწიფოს პოლიტიკისა. მაგრამ, როგორც იცით, „კონსტიტუციონური ეპოქა“ ძალიან დღე-ნაკლული აღმოჩნდა. ხალხმა ვერც კი მოასწრო ორივე ფეხით შემდგარიყო ახალ, პოლიტიკურ ასპარეზზე, რომ ეს უკანასკნელი მისთვის უკვე დაიხშო. მოქალაქობრივ თავისუფლებათა ნაცვლათ შემოღებულ იქმნა განსაკუთრებული მდგომარეობანი, 17 ოქტომბერს მოჰყვა 3 ივნისი. ქვეყნის მართვა-გამგეობა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განწესრიგება კვლავ გადაეცა პოლიციაადმინისტრაციას, ე. ი. მთავრობისაგან დანიშნულ მოხელეებს და რაღა საკვირველია, თუ ხალხს შერჩა პირველყოფილი წარმოდგენა პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიობაზე.

ფართო მასისთვის „კომიტეტი“ ანუ „პარტია“ იგივეა, რაც თვითმპყრობელ ბიუროკრატიის კანცელარია, სადაც ერთი კალმის მოსმით სწყდება ხალხის ბედი და უბედობა. ხალხის ასეთი დამოკიდებულება პარტიათ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელებში იწვევს ერთობ გაზვიადებულ წარმოდგენას თავის თავზე; ხოლო მთელ ამ ნიადაგზე კი ჩნდება ის დიდათ საზარალო მოვლენა, რასაც ეწოდება პარტიული ფანატიზმი.

პარტიულ ფანატიკოსისათვის საკუთარი პარტია არის ერთათ-ერთი, ყოვლად შემძლებელი გოლიათი, რომელსაც მუდამ თავის მხრებით მიაქვს მთელი სამყაროის სვე-ბედი; ყველა დანარჩენი, სრული არარაობაა; რომელსამე სხვა პარტიასთან რაიმე ურთიერთობა, რაიმე მოლაპარაკება თუ შეთანხმება რაიმე პრაქტიკულ მიზნისათვის, მხოლოთ საკუთარ ღირსების შელახვაა და საკუთარ პარტიულ საქმის აბუჩათ აგდებაა; პარტიულ ფანატიკოსისათვის თავის პარტიის რომელიმე დებულებისა თუ გადაწყვეტილების გაკრიტიკება, მომაკვდინებელი ცოდვაა; ვინმე იდეურ მოწინააღმდეგესთან „ერთ სტაქან ჩაის“ დალევა უკვე ღალატია, ღალატი პრინციპისა და პარტიის წინაშე.

პარტიულ ფანატიზმს, როგორც ბუნებრივი რეაქცია, თანა სდევს მეორე უკიდურესობა—პარტიობისადმი სიძულვილი, უპარტიობის გალმერთება. და ეს უკანასკნელი პირველზე არა ნაკლებათ მავნებელი და დამლუპველია ნაყოფიერ პოლიტიკურ მოქმედებისათვის.

კლასობრივ საზოგადოებაში უპარტიობა ანუ პარტიებს გარეშე დგომა უეჭველათ ნიშნავს ცნობიერ საზოგადოებრივ ცხოვრების გარეშე დგომას, რადგან ასეთ საზოგადოებაში კლასებს თავ-თავისი, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ინტერესები აქვს და ეს გარემოება ბუნებრივის აუცილებლობით იწვევს სხვადასხვა პოლიტიკურ მიზნებს, ბადებს სხვადასხვა საშუალებებს ამ მიზნების მისაღწევათ. აქედან ჩნდება სხვადასხვა პოლიტიკური პროგრამები და პარტიები. პოლიტიკური პარტია ნიშნავს ამა თუ იმ საზოგადოებრივ კლასის ძალთა ორგანიზაციას; პარტიები თვითონ ხალხია, ორგანიზაციულათ დარაზმული; პარტიობა ხალხის თვითმოქმედების გამოხატულებაა და იმავე დროს მისი აუცილებელი პირობაა. ცხოვრება ბრძოლაა, ნაყოფიერი ბრძოლა კი ითხოვს განსაზღვრულ გეგმას, სისტემას, მიზნის შეწონილ მოქმედებას, მაშასადამე, პარტიობას. ამიტომაც იქ, სადაც ხალხი აქტიური მონაწილეა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობისა, იქ უეჭველათ არსებობენ და ვითარდებიან პოლიტიკური პარტიებიც. პარტიობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის წინმსვლელობა-განვითარებისათვის. აქედან ცხადია, რომ ის, ვინც პარტიების გარეშე დგება ანუ უპარტიობას გვიქადაგებს, ნებსით თუ უნებლიეთ, საქვეყნო ცხოვრებას წინ ეღობება, უკან დაბრუნებას გვირჩევს, ისტორიის ჩარხის უკუმა ატრიალებას ცდილობს. და რაკი თანამედროვე საზოგადოებაში ბრძოლის მთავარი ღერძია სოციალური პრობლემა, მუშათა განთავისუფლების საქმე, აშკარაა, რომ უპარტიობის მოციქული, ნებსით თუ უნებლიეთ, მუშა ხალხის მოწინააღმდეგეთა და მტრათ გამოდის. ამასთანავე, რადგან დღეს რუსეთის სახელმწიფოში სოციალურ საკითხს გარდა გადასაჭრელია კიდევ სხვა, მორიგი საჭირ-ბოროტო საკითხი—ძველი რეჟიმის

ლიკვიდაცია და დემოკრატიულ კონსტიტუციის დამყარება—ამიტომ აქ, უპარტიობის მოტრფიალე ადამიანი, ნებსით თუ უნებლიეთ, ზედმეტათ ძველი რეჟიმის მომხრეთ გამოდის: იგი წინ ეღობება საერთო, საიმპერიო განთავისუფლების საქმეს, იგი ბნელეთის ძალთა მოკავშირეა.

ამგვარათ, ცხოვრების განახლება-წინმსვლელობის გულწრფელი და შეგნებული მომხრე უეჭველათ მომხრე უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიების არსებობისა და განვითარებისა. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიობის განვითარებისათვის მიუცილებლათ საჭიროა, ქვეყნის მართვა-გამგეობას აწარმოებდეს თვითონ ხალხი. ეს, რა თქმა უნდა, იგულისხმებს მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას. ამავე დროს, უნდა საბოლოოთ დაგმობილ და უარყოფილ იქმნას ზემოთ აღნიშნული ორი დამღუპველი უკიდურესობა—პარტიული ფანატიზმი და უპარტიობის გალმერთება.

ასეთია მოკლეთ მთავარი ობიექტიური და სუბიექტივური პირობები პოლიტიკურ პარტიების არსებობა-განვითარებისათვის, ასეთია აუცილებელი საფუძველი საღ და ნაყოფიერ პოლიტიკურ მოქმედებისათვის. მხოლოდ ასეთ გარემოებაშივეა შესაძლებელი შეიქმნას და განვითარდეს ძლიერი მუშათა პარტია.

ლ. კანდელი.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

(მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე). *)

„ეხლა, მგონი, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთის ს. დ—ლი მუშათა პარტია სრულიად დაშლისა და დანგრევის გზაზე დამდგარა და დღეს თითქოს უკვე ლევს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს და ისტორიას ჰბარდება. ის (პარტია), როგორც მომქმედი ორგანიზაცია რუსეთის პროლეტარიატისა თითქმის აღარ არსებობს და თუ კიდევ ოდნავ მაინც არსებობს—სანუგეშოს არაფერს წარმოადგენს. ამნაირათ, „ოდესღაც ძლიერი და ენერგიის დაუშრეტელობით აძაყი პარტია, დღეს განიცდის შინაგან დარღვევისა და დაქსაქსვის ხანას... პარტია, რომელიც ერთ დროს კოლოსალურ ენერგიას იჩენდა, მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღებას იპყრობდა, დღეს როგორღაც ერთბაშათ ჰქრება საზოგადოების მხედველობიდან“... (იხ. „რა მოხდა?“ Эль--სა „იმედი“).

მართლა და რა მოხდა? რა არის პარტიის დაშლის მიზეზი? აი კითხვა, რომელიც დღეს ყველას აინტერესებს და ყველას ყურადღებას იპყრობს. ეს კითხვა ერთი საჭირ-ბოროტო დიდ კითხვათაგანია, იგი დაჟინებით თხოულობს გადაჭრილ-გარკვეულ პასუხს. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულათ ამ კითხვის შესახებ ჯერ თითქმის სულ არაფერი დაწერილა; ჩვენი პრესის პირდაპირი მოვალეობაა ფართოთ გაარკვიოს ეს საკითხი და მით შესაფერათ დააკმაყოფილოს ამის გადაჭრაში ღრმათ დაინტერესებული მუშა მკითხველები. ამ საღღეისო საკითხს „იმედის“ ერთ №-ში Эль-მა უძღვნა ერთი საგულისხმო წერილი ამ სათაურით; „რა მოხდა?“ აქ ჩვენ ამ ჟამათ აზრათ არა გვაქვს შეგუდგეთ იმის განხილვას, თუ რამდენათ სისწორით აღნიშნა Эль-მა ის რეალური მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია პარტიის დაშლა ანუ ჩააყენა ის იმ მდგომარეობაში, სადაც დღეს შინაგან დარღვევისა და დაქსაქსვის ხანას განიცდის“, დეე, ეს თვით მკითხველმა დააფასოს. ჩვენი მხრით გვინდა აქ ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ საჭირ-ბოროტო კითხვაზე.

ზოგიერთებს ძლიერ აკვირვებს, რომ ჯერ კიდევ გუშინ ასეთი ძლიერი პარტია, რომელიც ათასობით და ათიათასობითაც ითვლიდა ორგანიზაციულათ დარაზმულ-განმტკიცებულ თავის წევრებს, დღეს ასე მალე თანდათანობით იშლება და ჰქრება, ზოგიერთები კი ილიუზიებით არიან შეპყრობილი, ვერ ხედავენ მწარე სინამდვილეს და დღესაც გაჰკივიან პარტიის ძლიერებაზე, მის „გაწმენდასა“ და „ჩამოყალიბებაზე“. ესენი აღნიშნავენ პარტიის მხოლოდ ერთი ნაწილის გაქრობას, მით გულისხმობენ „პარტიული ოპორტიუნიზმის“ დამარცხებას და „ორტოდოქსიის“ გამარჯვებას დღესასწაულობენ. ესეთი გამარჯვება მათის აზრით წილათ ჰხვდა პარტიის მეორე „მემარცხენე“ ნაწილს, რომელიც თითქოს თანდათან ძლიერდება და წინ მიდის, მაშინ, როდესაც, ფაქტიურათ, ეს მეორე ნაწილი, „მარცხენა ფრთა“, პირველზე არა ნაკლებ სიცოცხლეს მოკლებულია და იმავე ნგრევის პროცესს განიცდის, როგორსაც პირველი. დროა განვთავისუფლდეთ ილლიუზიებისაგან, დროა სინამდვილე ვიცნათ და კარგათ ჩავხედოთ მას ღია თვალებში! ჩვენ ვფიქრობთ, ოცნებით გატაცებულნი „ორტოდოქსალური მემარცხენენი“-ც, ადრე თუ გვიან განთავისუფლდებიან ამ სენისაგან, შეიძლება არც შორსაა ის დრო, როცა დაინგრევა უკანასკნელი სიმაგრე მათი ილლიუზიისა და მაშინ მათთვისაც აშკარა დასანახი გახდებიან ფაქტები, შიშველი ფაქტები!..

ჩვენის აზრით, პარტიის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებელი შედეგია, ლოგიკური დასკვნაა მისი თავისებური ისტორიული აღორძინებისა და განვითარების. აქ ვხედავთ ჩვენ ერთათ ერთ სერიოზულ დიდ მიზეზს, რამაც გამოიწვია მისი დაშლა და დაქსაქსვა. პარტიის დაშლის მთავარ მიზეზებს ჩვენ მასშივე ვხედავთ, მის გულში, მის შინაარსში აღმოჩდა ის დამარღვეველი ძალა, რომელიც თან სდევდა პარტიას დღიდან მისი არსებობისა.

რუსეთის მუშათა პარტია აღორძინდა და განვითარდა სხვაფერ, ვინემ სხვა დასავლეთ ევროპის მუშათა პარტიები, ამით კი ის უკანასკნელთაგან შესამჩნევათ განსხვავდა, ეს განსხვავება კი შეადგენს მის მინუსს. რაში მდგომარეობს ეს მინუსი? რუსეთის მუშათა პარტია უფრო სახელით იყო ასეთი, ნამდვილათ და უმთავრესათ კი ი' არ იყო მუშების პარტია, არ იყო პარტია შეგნებულათ მებრძოლი პროლეტარიატის. შეგნებული პროლეტარიატი არ იყო ამ პარტიის სული და გული, მისი სისხლი და ხორცი, ის არ იყო მისი საკუთარი გამგე და პატრონი. აქ პროლეტარიატი, ასე ვსთქვათ, სტუმარი იყო, ხოლო მართველობას, პატრონობას თუ მასპინძლობას „სხვები“ კისრულობდენ. ვინ იყვენ ეს „სხვ ბი?“ ეს იყო ინტელიგენცია, რომელიც ბურჟუაზიის ბანაკიდან მოევლინა პროლეტარიატს და მისგან

*) ამ წერილში აღძრულ საჭირ-ბოროტო და საკამათო საკითხზე ჩვენ კიდევ ბევქნება ცალკე წერილები. რედ.

დააარსა პარტია, შეიქნა იმ თავითვე მისი სულის ჩამდგმელი, მისი პატრონი და წინამძღოლი. პარტია—ეს ამ ინტელიგენციის ფსიხოლ-გიის და მის მისწრაფებათა უმთავრესი გამოხატულება იყო, დროშა პარტიის იყო იმავე დროს დროშა ამ ინტ ლიგენციის. მა თ ლია მუშები იყვენ ამ პარტიაში, 100,000-დის ითვლიდენ მათ, მაგრამ ამით საქმის შინაარსი არ იცვლებოდა, მუშათა სიმრავლე პარტიას ფაქტიურათ მუშათა პარტიათ ვერ აქცევდა, ის ბოლომდის არსებითათ მაინც ინტელიგენტური დარჩა. მარქსისტულ თეორიაში, ინტელიგენცია შეუდგა იმ თავითვე მარქსის მოძღვრების განხორციელებას პრაქტიკაში, მან იწყო სიტყვის საქმეთ გადაქცევა, აქ კი აღმოჩნდა რომ მან ვერც იმდენათ გააკეთა საქმე სოციალიზმის, ვერ შესძლო, ვერ ასწია შესაფერ სიმაღლემდის დროშა პროლეტარული, სოციალისტური დემოკრატიის; და ეს არა იმიტომ, რომ მას არ უნდოდა სოციალიზმის გულწრფელი სამსახური და პროლეტარიატის ნამდვილი მეგობრობა, პირიქით, სუბიექტიურათ ის ამისთვის მოქმედებდა, ამისთვის შევიდა ის მუშათა მასაში, ხოლო ნამდვილათ კი იმისი მოღვაწეობა და გაბატონება პარტიაში ძლიერ უშლიდა ხელს პროლეტარიატის თვითმოქმედების ზრდასა და განვითარებას. თავისი სურვილების წინააღმდეგ, ის წინ ეღობებოდა მუშათა საკუთარ ინიციატივის გამოჩენას, აქ ვერ გაშალა ფრთა პროლეტარიატის შემოქმედებითმა ნიჭმა, პროლეტარიატი ვერ განვითარდა აქ და კლასობრივათ იმდენათ ვერ მომწიფდა, რომ თვითონვე დაპატრონებოდა თავის პარტიას, ხელში ჩაეგდო მისი სადავე და თვით გამხდარიყო მკეთებელი თავის საკუთარი საქმისა.

საკუთარ თვითმოქმედებას მოკლებული, კლასობრივათ მოუმწიფებელი და პოლიტიკურათ ნაკლებ გაწვრთნილი რუსეთის პროლეტარიატი განსაზღვრულ დრომდე თავსდებოდა იმ პარტიაში, რომლის პატრონობა და მესვეურობა ცხოვრებამ ინტელიგენციას არგუნა; განსაზღვრულ დრომდე პროლეტარიატიც მიყვებოდა ინტელიგენციას, ამ სარდალს—წინამძღოლს პარტიისას, მიყვებოდა და კიდეც გაჰყვა მანამდის, სანამ ეს შესაძლებელი იყო; მაგრამ აი დადგა დრო, როცა ეს ორი თითქოს დროებით შეკავშირებული, მაგრამ შეუღღებელი, პარტიის ნაწილები ერთმანეთს უნდა გაშორებოდენ. სტუმარ-მასპინძელთ, ერთი-მეორისაგან პირი რბრუნეს. „ჯარი“ „სარდლებს“ აღარ მიჰყვება, მან გააღო პარტიის კარები და იწყო დენა შიგნიდან გარეთ, პარტია ცალიერდება, პროცესი დაცალიერების ჯ რ არ დამთავრ ბულა სავსებით; ერთი მხრით თუ პროლეტარიატი სტოვებს პარტიას, მეორ ს მხ ით სტოვებენ თვ თ „მესვეურნ ც“, პარტიის ერთი კარებიდან გადის პროლეტარიატი, მეორე კარები ან კი გარბის ინტელიგენცია, ამ საშ ნელ მდგომარეობაშია დღეს გუშინდელი ძლიერი პარტია, ასეთი არეე-დარეევის, ასეთ ნგრევის პროცესს განიცდის იგი.

მაგრამ ჩვენ ამის გამო უიმედობას და სასოწარკვეთილებას სრულიადაც არ ვეძლევით, ღრმათ გვწამს, რომ იქ, სადაც ირღვევა ძველი, იწყება პროცესი ახ ის შენების და აღორძინების. ძველი პარტიის ორგანიზაც. ნანგრევზე—ახალი აღორძინდება—ეს აუცილებელია, იმავე დროს ეს მუშათა ახალი ორგანიზაცია—პარტია—დიდათ განსხვავებული იქნება ყოფილისაგან, ფაქტიურათ ის იქნება მუშათა პარტია, მუშა ხალხი აღარ იქნება ამ პარტიის ფორმალური წევრი, არამედ იქნება ნამდვილი პატრონი და ხელთ ექნება მისი სადავეც. რუსეთის იმპერიის მუშა ხალხი ბუნებრივის აუცილებლობით შეიქმს და დააარსებს საკუთარ პარტიას. მხოლოთ ის პარტია იქნება დღეგრძელი, რომლის საფუძველს, რომლის სულსა და გულს შეადგენენ თვითმომქმედი, კლასობრივათ შეგნებულ-მომწიფებული მუშები. ცხოვრებამ ასეთი პარტიის აღორძინების გზაზე დააყენა ჩვენი მუშა ხალხი, აქეთ უქნა მას პირი, ისიც თუმც ნელა, თითქოს შეუმჩნევლათ, მაგრამ მაინც წინ მიაბიჯებს, მისკენაა ისტორია, მისია მომავალი.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რუსეთის მუშათა ს. დ. პარტია ფაქტიურათ არ იყო პარტია მუშების, ის უმეტეს ნაწილათ იყო „პარტია წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის“, როგორც ამბობდა ამას კაი ხანია პ. აქსელროდი. დღეს ის ინგრევა, ჰქრება, მაგრამ ამავე დროს დადგა ხანა ახალი მუშათა პარტიის აღორძინებისა, ამას უკვე ეყრება მტიცე საფუძველი, ამის ნიშნებს ჩვენ დღეს კარგათ ვხედავთ... ჩვენი მოვალეობაა დავაჩქაროთ ამ პარტიის აღორჩინებ ს, განმტკიცების პროცესი, შევიანოთ მასსაში მეტი კლასობრივი შეგნება, მეტი თვითცნობიერება, ხელი შეუწყოთ მასის თვითმოქმედების ზრდასა და განვითარებას, თავიდან ავიცილოთ ძველი შეცდომები... ამას გვასწავლის დღევანდელ დრო, ამას გვიკარნახებს წარსული გამოცდილება...

ე—ში.

უტოპისტები და მარქსის მოძღვრება.

I

თუ ერთმანეთს შევუდარებთ სხვა და სხვა კომუნისტურ მოძღვრებას საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგ, ერთ დიდ განსხვავებას შევნიშნავთ. რევოლიუციამდე კომუნისტები უმთავრეს წყაროს ხალხის უბედურებისას მიწის ჯერძო საკუთრებაში ჰხედავდენ და მიწის გასაზოგადოებას—საზოგადო საკუთრებათ გადაქცევას ითხოვდენ. მათ ახალს წყობილებას უმთავრესათ გლეხის კეთილდღეობა ჰქონდა მიზნათ. მეთვრამეტე საუკუნეში პროლეტარიატი უკვე გამოსული იყო პოლიტიკურ ასპარეზზე და საფრანგეთის რევოლიუციაში ის დიდ მონაწილეობას იღებდა. მაგრამ მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ჯერ არ იყო ფრთებ გაშლილი, წვრილ წარმოებასა და ხალხოსნობას ჯერ კიდეე დიდი ალაგი ეკავა, ამიტომ ამ დროის კომუნისტები თუმცა დიდ იმედებს ამყარებდენ პროლეტარიატზე, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას მაინც მიწასა და გლეხს აქცევდენ. მიწა მხოლოდ ხალხს ეკუთვნისო, თითქმის ყოველ მოწოდებაში იმეორებს ბაბეფი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მიწურულში სცდილობდა აჯანყებით კომუნიზმის განხორციელებას და ამის გამო ჯალათის მსხვერპლი გახდა. თუმცა მსხვილი წარმოება იმ დროს სწრაფათ იზრდებოდა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება მაინც მიწის მუშაობაზე, მეურნეობაზე იყო უმთავრესათ დამყარებული და ამიტომ უსამართლობის, უთანასწორობისა და უბედურების უმთავრეს წყაროთ მიწის კერძო საკუთრება მიაჩნდათ. წარ-

მოების უმთავრესი საშუალება იყო მიწა და იმის გასაზოგადოებასთან ერთათ კომუნისტები ითხოვდენ ყოველგვარ კერძო საკუთრების მოსპობას. მათის აზრით, ახალს წყობილებაში არავის არ უნდა ჰქონოდა საკუთარი სადგომი, საკუთარი ავეჯი. სადილსა და ვახშამსაც კი ყველა ერთათ უნდა სჭამდენ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნე. ახალი წყობილების წინასწარმეტყველები უმთავრეს ყურადღებას პროლეტარიატს და იმის ბედ-ილბალს აქცევენ, შრომისა და წარმოების მოწყობასა და მოწესრიგებას სცდილობენ. წარმოებაში მიწას აღარ აძლევენ უპირატესობას და წარმოების ყველა საშუალებათა გასაზოგადოებას ითხოვენ. მათს თვალში უბედურების თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ წარმოების საშუალებანი: მიწა, ქარხნები, ფაბრიკები, მანქანები, მადნები და სხვ. კერძო საკუთრებას შეადგენენ. სადგომი, ავეჯი და სხვა საოჯახოთ მოსახმარი საგნები კერძო საკუთრებათ ექნება ყველას თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახალი კომუნისტების თვალში. ამ კომუნისტებს უწოდებენ სოციალისტებს. რამ გამოიწვია კომუნისტურ მოძღვრებაში ამგვარი ცვლილება? პროლეტარიატის ზრდამ. პროლეტარიატის ზრდა რამ გამოიწვია? მსხვილი წარმოების განვითარებამ მეთვრამეტე საუკუნის გასულსა და მეცხრამეტეს დასაწყისს ანუ ეგრეთ წოდებულმა საწარმოვო რევოლიუციამ.

რაში გამოიხატა ეს საწარმოვო რევოლიუცია?

თითქმის მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდე, ხალხის ცხოვრების უმთავრეს ძარღვს ევროპაში სოფელი შეადგენდა. ქალაქებში თავმოყრილი იყო მხოლოდ სხვა და სხვა ხელოსნობა და საქონელი მზადდებოდა იმდენი, რაც საჭირო იყო შინაური ვაჭრობისათვის. როდესაც მეთექვსმეტე საუკუნეში ახალი ქვეყნები აღმოაჩინეს, ევროპის სახელმწიფოებმა — განსაკუთრებით კი ინგლისმა — ამერიკაში ბევრი ახალშენი დაიარსეს. ზღვაოსნობა გაძლიერდა და თან ვაჭრობა განვითარდა. დღევანდელი მწარმოებლების როლს ჯერ ისევ ვაჭრები ასრულებდენ მაშინ; ვაჭრები ურიგებდენ მუშებს სახლში მასალას სხვა და სხვა სავაჭრო საქონლის დასამზადებლათ.

საწარმოო ტეხნიკის განვითარებამ წარმოება სრულებით შესცვალა და ამით შესცვალა თვით ცხოვრებაც. მეთვრამეტე საუკუნის გასულს გამოიგონეს სართავი და საქსოვი მანქანა. წინათ მუშები თავის ხელით ართავდენ და ჰქსოვდენ. ამგვარ პირობებში ბლომათ დამზადება საქონლისა ძალიან ძნელი იყო, როდესაც ადამიანების ალაგი მანქანებმა დაიკავეს და თითო მანქანა იმდენს საქონელს ამზადებდა დღეში, რამდენის დასამზადებლათაც ათასი და მეტი მუშა ხელი იყო საჭირო, ამან მთლათ შესცვალა წარმოება. მალე უაიტმა გამოიგონა ორთქლის ქვაბი, რის წყალობითაც შესაძლებელი შეიქნა სხვადასხვა ორთქლის მანქანების გაკეთება. ორთქლის მანქანებმა კი ნამდვილი რევოლიუცია მოახდინეს წარმოებაში. დაგროვდა აუარებელი საქონელი, გაჩნდენ დიდი ქარხნები; ხალხი სოფლებიდან ქალაქებს მოაწყდა; ქალაქი დღითიდღე იზრდებოდა. გაკეთდა ყველგან სავაჭრო გზები და გაჩნდენ სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობანი. სწორეთ ამ დროს გადიქცა ფული ბატარა ღმერთათ. ყველა გამდიდრების წყურვილმა გაიტაცა. წარმოების გაზრდამ დიდი სარგებლობა მოუტანა ვაჭრებს, მრეწველებს და მემამულეებს. ამ კლასებში ისეთმა სიმდიდრემ მოიყარა თავი, რის მზგავსიც წინეთ მათ სიზმრათაც კი არ ზმანებიათ.

ამგვარათ ეროვნული სიმდიდრე საშინლათ გაიზარდა. თითქოს საერთოთ ხალხის კეთილდღეობასაც უნდა ემატნა, მაგრამ რაც უფრო უსქელდებოდა კაპიტალისტებს ჯიბეები, მით უფრო მატულობდა ხალხის სიღატაკე და გაჭირვება. რითი აიხსნება ასეთი მოვლენა? კაპიტალისტური წარმოების ხასიათით.

როდესაც წარმოება ორთქლმა და მანქანებმა დაიპყრო, პირველ ხანებში გაჭირვებული ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდა. დიდ ქარხნებში, სავაჭრო საწყობებში, საქონლის გადასატან-გადმოსატანათ და სხვა. საჭირო იყო მუშა ხელი და პირველათ ყველა შოულობდა ალაგს და ქირასაც საკმაოთ იღებდა. ამგვარი კმაყოფილების დრო ფრიად ხანმოკლე იყო. სოფლებიდან ხალხი ქალაქს მოაწყდა; მუშა ხელი სწრაფათ გამრავლდა. „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირათო“. ტურფაცა და ყოველგვარი საქონელიც მაშინ იაფდება, როცა მისი რიცხვი მრავლდება და მოთხოვნილებას აჭარბებს. საქონლის გამრავლება იწვევს მეტოქეობას, მეტოქეობა კი იწვევს ფასის დაწევას. როცა მუშტარი ბევრია, საქონელი კი ცოტა, მაშინ საქონელს დიდი ფასი აქვს; ხოლო როცა მუშტარი ბევრია, მაგრამ საქონელი კიდევ მეტი, საქონელს ფასი ეკარგება. სწორეთ ეს ბედი ეწიათ მუშებსაც. როცა მათი რიცხვი გამრავლდა, კაპიტალისტებმა ხელფასს დაუკლეს და სამუშაო დღეს თანდათან უმატეს. მუშები მოკლებული იყვენ ყოველგვარ კლასობრივ შეგნებას; მათ არა ჰქონდათ არავითარი ორგანიზაცია; ყოველისფერში კაპიტალიტებს ემორჩილებოდენ და ნელ-ნელა საძაგელ პირობებში ჩავარდენ; მუშაობდენ ხშირათ თვრამეტ საათს დღეში და იმდენ ქირასაც ვერ იღებდენ, რომ მარტო პურის ფულათ ჰყოფნოდათ.

ყოველივე ამას მიემატა ერთის მხრით წვრილი მწარმოებლების გაკოტრება და მეორეს მხრით საწარმოვო კრიზისები. მსხვილი წარმოების განვითარებამდე საქონელს მუშები ამზადებდენ ხელით, ართავდენ და ჰქსოვდენ ხელით. როდესაც ყოველივე ეს მანქანამ მოახერხა და ამავე დროს ერთმა მანქანამ იმდენი დაამზადა, რასაც წინათ ათასი კაცი უნდებოდა, საქონელი ძალიან გაიაფდა და ხელით მომუშავემ კაპიტალისტს მეტოქეობა ველარ გაუწია. კაპიტალისტს თითო ნაჭერზე ერთი კაპეიკიც რომ მოეგო, ეს მაინც ბევრს შეადგენდა. რა უნდა ექნა იმ ხელით მომუშავეს, რომელიც

ღლეში რამოდენიმე ნაჭერს თუ დაამზადებდა? წვრილი მწარმოებლების უმეტესობა დაიმხო, გაკოტრდა და ულუკმაპუროთ დარჩა.

კაპიტალისტურ წარმოებას გიჟი ადამიანის ხასიათი აქვს. ის შეუწყვეტლათ ამზადებს საქონელს და იმას კი არა კითხულობს, გასაღდება თუ არა ამდენი საქონელი, ამიტომ ბევრჯერ ბაზარი საქონლით აივსება ხოლმე და ამავე დროს საქონელს გასავალი აღარა აქვს, აღარ იყიდება. მაშინ კაპიტალისტის შემოსავალი შეჩერდება, მისი ფულის ტრიალი შეწყდება და წარმოებაც უნდა შეაჩეროს. ამას ეწოდება კრიზისი. შეჩერდება თუ არა წარმოება, კაპიტალისტი მაშინათვე ითხოვს მუშებს. როცა დაიწყებს ისევ წარმოებას, მუშებს ყოველთვის იშოვის და კრიზისის დროს რაზედ აძლიოს ტყვილა ფული მუშებს?! ხშირათ კრიზისი რამდენიმე თვეს გრძელდება და მუშა ხალხი ამ დროს განმავლობაში ულუკმაპუროთ არის დარჩენილი.

მსხვილ წარმოებას თანვე დაჰყვა კრიზისები, რაც ჯერ ნაპოლეონის ომებმა გამოიწვია და შემდეგ ინგლის-ამერიკის ომმა. მუშა ხალხმა რომ იფიქრა: ვენაცვალე რკინის მანქანას, ის მაკმევს ლუკმაპურსო, სწორეთ მაშინ გამოეცალა მას ხელიდან ლუკმაპური!

მსხვილი წარმოების განვითარებამდე ევროპის გლეხის შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროს ხელსაქმეობა შეადგენდა. მამაკაცები რომ ყანაში მუშაობდენ, ქალები სახლში ართავდენ და ჰქსოვდენ. ზამთარში მამაკაცებიც თავისუფალი იყვენ და ისინიც ხელსაქმობდენ. ხელთ-ნაკეთებს ვაჭრები ყიდულობდენ. ამისათვის ქალაქში გამგზავრება ან ბაზარში წასვლა სრულებით საჭირო არ იყო: თითონ ვაჭრები დაიარებოდენ სოფლათ და ჰყიდულობდენ სოფლის ნაწარმოებს. ამგვარათ, გლეხი თავის კარებზედვე ჰყიდდა თავის ნაწარმოებს. როდესაც მსხვილი წარმოება განვითარდა, გლეხმა მას მეტოქეობა ვეღარ გაუწია და სოფლის წარმოება თანდათან მოისპო. !ოფელს დაეკლდა შემოსავლის ერთი წყარო და იმისმა სიღარიბემაც იმატა.

ევროპაში ბევრი იყვენ ხიზნები, რომლებსაც საკუთარი მიწა არ გააჩნდათ და მთელი საუკუნოების განმავლობაში მემამულეთა მიწებზე სცხოვრობდენ. როდესაც მსხვილი წარმოება განვითარდა, მემამულეებმა თითონ მოჰკიდეს ხელი ბევრგან მეურნეობას, რომ მეტი მოგება ენახათ, და გლეხები გადარეკეს თავისი მამულებიდან; ამის გამო ხშირათ მთელი სოფლები ულუკმაპუროთ რჩებოდენ.

გარდა ამისა, ყოველი ტეხნიკური გაუმჯობესება იწვევდა კაპიტალისტის სარგებლობას და მშიერთა რიცხვის გამრავლებას. ავიღოთ უბრალო მაგალითი. ვთქვათ, რომელიმე მანქანის დასატრიალებლათ მუშებია საჭირო. გამოიგონეს ისეთი რამ, რაც თითონ ატრიალებს მანქანას მუშების დაუხმარებლათ. მაშინ უალაგოთა და ულუკმაპუროთ უნდა დარჩენ ის მუშები, რომლებიც მანქანის ტრიალით ირჩენდენ თავს. ყოველი შესამჩნევი გამოგონების შემდეგ ასობით გამორეკავდენ ხოლმე მუშებს ფაბრიკებიდან.

ივ. გომაროელი.

(შემდეგი იქნება)

სახელმწიფ დუმა

ახალ საპარლამენტო სესიაში სახ. დუმის „ხელმძღვანელი პარტია“ იმავე ავლა-დიდებით გამოვიდა საკანონმდებლო ასპარეზზე, როგორიც მას განვლილ სესიაში ებადა: არავითარი განსაზღვრული პროგრამა, არავითარი მტკიცე გეგმა საკანონმდებლო მუშაობისა მას არ გააჩნია; იგი კვლავ გულდასმით მისჩერებია მთავრობის სადირიჟორო ჯოხს. მაგრამ, რაკი მთავრობასაც მუდამ არ ძალუძს თვით 3 ივნისის სახალხო წარმომადგენლობის ხელში დაჭერა, ამ სესიის დაწყებისათანავე მოწამე გავხდით ძალიან კურიოზულ მოვლენისა. სახ. დუმა, რომლის უმრავლესობა ბეჯითად დასცურავს მთავრობის წვრილმან კანონ-პროექტებში და ქვეყნის ძირითად საჭირ-ბოროტო საკითხების წამოყენებას ისევე ერიდება, როგორც სახადს, აი ეს სახ. დუმა უკვე შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რაიც შეადგენს ღერძს, რომლის გარშემო ტრიალებს რუსეთის სახელმწიფოს თითქმის მთელი საშინაო პოლიტიკა. ჩვენ ვამბობთ აგრარულ საკითხზე. ეს შეასრულა უკიდურეს მემარჯვენეთ, წინდაუხედაობამ და უკიდურეს მემარცხენეთა გამარჯვებამ. ამ ჟამათ დუმა განაგრძობს ამ საგანზე თათბირს.

უკანასკნელ სხდომების ანგარიშში დიდათ საყურადღებოა მილიუკოვის სიტყვა. ლიბერალურ ოპოზიციის ამ ღირსეულმა ბელადმა სამართლიანათ აღნიშნა, რომ 9 ნოემბრის უქაზი გამოცემულია „შეერთებულ თავადაზნაურობის“ ზე-გავლენით და რომ საზოგადოთ მთავრობის უკანასკნელი წლების აგრარული პოლიტიკა ნაკარნახებია ამავ თავად-აზნაურობისაგან, ემსახურება იმის ინტერესებს და აბუჩათ იღებს ღარიბ და უმიწაწყლო გლეხ-კაცობის მწვავე, უკიდურეს მდგომარეობას. 9 ნოემბრის კანონის ცხოვრებაში გატარება შავ-ბნელ მომავალს უმზადებს რუსეთის მრავალ მილიონ გლეხებსო დაასკვნიდა ორატორი.

თუ მემარცხენეთა ორატორები ხშირათ დიდის უნარით, ცოდნითა და ფაქტების საშუალებით ებრძვიან რუსეთის აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის ბატონ-პატრონებს, სამაგიეროთ არც მემარჯვენეთა სძინავთ; მათი ბელადებიც თავგამოდებით ეწევიან „საპარლამენტო“ ბრძოლას. ასე, მაგ. „სახელოვანი“ პურშკევიჩი პოლიციელის სასტვენს უსტვენდა და მილიუკოვს წამ და უწუმ სიტყვას აწყვეტინებდა შეძახილით: „ვიბორგის ბაყაყო, სიტყვების შულეროო!“ და სხ. რაზედაც მილიუკოვი უპასუხებდა: „შევეჩვიე თქვენს ჯენტლემენობას, თქვენ მე ვეღარ გამაკვირვებთო“.

დაბოლოს, აღსანიშნავია სახ. დუმის თავმჯდომარის ბ. ხომიაკოვის „მიუდგომლობა“. როდესაც უკიდურეს მემარჯვენეთა სკამებიდან გაისმოდა ხოლმე უტიფარი, სალანძღავი სიტყვები, თავმჯდომარე მათ მიმართავდა შენიშვნით: „გთხოვთ ადგილებიდან ნუ ლაპარაკობთ!“ ხოლო როცა, პურიშკევიჩების გინებით მოთმინებიდან გამოსული მემარცხენენი სახ. დუმის ელოუნის შესახებ დაიძახებდენ, „ვონ! ვონ! (გაეთრიოს გარეთ!), მაშინ ბ. ხომიაკოვი მკაცრათ მიმართავდა მემარცხენე ოპოზიციის მხარეს: „თუ კიდევ ნება მიეცით თქვენ თავს ასე წამოიყრანტალოთ; მე ვუბრძანებ გარეთ გაგიყვანონო“.

სოციალდემოკრატიულ ფრაქციამ გადასწყვიტა დუმაში შეიტანოს 7 კანონ-პროექტი, რომელთა საგანია შრომის პირობების გაუმჯობესება.

უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა წყალობით მალე აღძრულ იქმნება შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკის მოქმედების შესახებ.

შინაური ქრონიკა

—:—

ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა ყოველ დღიური გაზეთი „შუქი“. სტამბიდან წაიღეს გაზეთის დაბეჭდილი ნომრები.

✦ თფილისის პოლიცმეისტერმა ცეხოცკიმ თავი მოიკლა.

✦ ჩვენის მგოსნის, აკაკის 50 წლის იუბილე 30 ნოემბრის ნაცვლათ 7 დეკემბერს გაიმართება.

✦ „წერა-კითხვის საზოგადოების“ უკანასკნელ კრებაზე გამგეობამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა დეკემბერში გამართოს კონცერტი ამ „საზოგადოების“ სასარგებლოთ.

✦ მიწათ-მოქმედების უფროსმა საფილოქსერო კომიტეტის წევრებათ დაამტკიცა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაგან არჩეულნი ვ. ოცხილაძე და გ. ალიბეგოვი.

✦ მეორე სახ. დუმის წევრათ ნამყოფი ჯაფარიძე, რომელიც ამ ჟამათ პეტერბურგის საპყრობილეშია, საშიშ ავათმყოფათ უცვნია ექიმთა კონსილიუმს. ჯაფარიძის მეუღლეს თხოვნით მიუმართავს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რომ იმისი ქმარი თფილისის საპატიმროში გადმოიყვანონ. მინისტრს შეუწყნარებია ეს თხოვნა.

✦ გაზეთ „ნოვოსტი ზაკავკაზია“-ს ატყობინებენ, რომ პეტერბურგის ერთი კერძო ბანკი თფილისში ხსნის თავის განყოფილებას.

✦ ფოთის ქალაქის თვითმართველობას უთხოვნია კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის, დაწესდეს ნახევარი კაპ. გადასახადი ფოთის სასარგებლოთ და ამასთან ნება დართონ ქალაქს გამოსცეს მეოთხე საობლიგაციო სესხი 1.600,000 მანეთისა. ამ სესხით ქალაქი დაჰფარავს ვალების ნაწილს და გამოიყიდის იმ მოწყობილობას, რომლითაც ფოთის ნავთსადგურში შემოსულ გემებს მექანიკურათ ტვირთავენ. („ალი“).

✦ დაბა ურიასკარში (სენაკის მაზრა), სადგურ აბაშიდან 18 ვერსის მანძილზე გაუხსნიათ საფოსტო განყოფილება. („ალი“).

✦ 9 ნოემბერს აკურთხეს მუხრანის ხიდის საფუძველი. დაესწრო ქალაქის თავი, გამგეობის წევრები, ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და სხვ.

✦ გამოვიდა „ნაკადულის“ მე-21 ნომერი მცირე წლოვანთათვის. წიგნი, როგორც ყოველთვის საინტერესოდ არის შედგენილი, მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები შ. მღვიმელისა, განდეგილისა, თამროშვილისა, ლელაშვილისა და სხვ.

✦ თფილისელმა ნავთით მოვაჭრეებმა ნავთის ფასს აუწიეს: გირვანქას 4—5 კაპეიკათ ჰყიდიან.

ასევე იქცევიან მეშეშეებიც. საყენ შეშაში 45 მან. თხოულობენ. მდიდრებს, რა თქმა უნდა, უფრო იაფათ უჯდებათ ყველაფერი, რადგან დროზე აქვთ დამზადებული, მაგრამ ღარიბებმა რა უნდა ჰქნან. ყველა ამ ვაებატონებს კი ხალხი აკერიათ ენაზე.

კვირიდან-კვირამდე

რუსეთი.

✦ ადესაში ამ ჟამად შავრაზმელების სიეზდია. კრებებს ხალხის დაუსწრებლა მართავენ.

✦ რიგაში იპოვნეს ლატიშთა სოც. დემ. სტამბა. ხელთ იგდეს დიდძალი შრიფტი, ბეჭდები და ხელთნაწერები. ორი კაცი დააპატიმრეს.

✦ კიევში აღმოაჩინეს სოც. დ. საიდუმლო სტამბა. სამი კაცი დააპატიმრეს.

✦ ეკატერინოსლავის გუბერნიაში დაჰხურეს სოფლის მასწავლებელთა საზოგადოება.

✦ ადესის გენერალ გუბერნატორის ბრძანებით დაიკეტა წიგნის მაღაზია „პროსვეშჩენიე“. მიზეზად არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებას ასახელებენ.

✦ ზღვათა სამინისტროს უწყებიდან დაითხოვეს 13 ადმირალი. ამბობენ, კიდევ ბევრს დაითხოვენო.

✦ ეკატერინოსლავში აუკრძალავთ გაზეთ „იუჟნაია ზარია“-ს უკანასკნელი ნომერი იმისთვის, რომ პოლკოვნიკ ლიახოვს სასაცილოდ იგდებდაო.

✦ სმოლენსკის გუბერნატორმა აღუკრძალა წიგნის მაღაზიებს გაყიდვა იმ ღია ბარათებისა, რომლებზედაც რელიგიოზურ ხასიათის სურათები იქნება მოთავსებული.

✦ მოსკოვის ადმინისტრაციამ აღკრძალა ლ. ტოლსტოის ბროშურა: „ნუ თუ ასეა საჭიროო?“

✦ სახელმწიფო დუმის წევრად ნამყოფმა, სამხედრო იურიდიულ აკადემიის დამსახურებულმა პროფესორმა კუზმინ-კარავაევმა თხოვნა მისცა ნაფიც მსაჯულთა საბჭოს—თქვენს წოდებაში ჩამრიცხეთო. კუზმინ-კარავაევი ამბობს თხოვნაში, ჩემი პირადობა არსენიევსა, სტასოვსა და ბობრინსკის ჰკითხეთო.

✦ მოსკოვში 1 ნოემბერს „მშვიდობიან განახლების პარტიის“ კრება ჰქონდა ბალკანეთის საქმეთა შესახებ. კრებას თავმჯდომარეობდა დ. ნ. შიპოვი. სხვათა შორის ილაპარაკა პროფესორმა ე. ნ. ტრუბეცკოიმ და ერთმანეთს შეადარა რუსის საზოგადოების ეხლანდელი და 1876 წლის მიმართულება. მაშინ უფრო სიმტკიცე ეტყობოდათ, ეხლა კი მოდუნებულნი არიანო. ეს იმით აიხსნებაო—სთქვა ორატორმა,—ეხლა რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას ჟანდარმოკრატიისაგან დასახსნელად მივდივართ, შეუძლიანთ გვითხრან: „ექიმო, ჯერ შენი თავი განიკურნეო“. ამ დროს პოლიციის წარმომადგენელმა წინადადება მისცა პროფესორ ტრუბეცკოის, სიტყვა შესწყვიტეო. ამან დიდი ტაშის ცემა გამოიწვია. პოლიციამ მეორედ გააფრთხილა. მაშინ შიპოვმა წინადადება მისცა კრებას დაშლილიყო და ამ წინადადებას ზედ დაუმატა: „შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენც გვეღირსება სიტყვისა და კრების თავისუფლებაო“.

✦ „რუსკ. ვედომ.“ რედაქციას მიუღია 5,000 მანეთი ნ. ა. შახოვისაგან ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად.

სპარსეთი.

თავრიზიდან იტყობინებიან, რომ ამ ჟამად სპარსეთში სრული ანარქიაა. მიმოსვლა თითქმის შეწყვეტილია, რადგან გზებზე თავდასხმა და ძარცვაა გახშირებული. ადერბეიჯანის პროვინციაში ძლიერი მოძრაობაა; ათასობით გადმოდიან თავრიზიდან გადმოხვეწილები.

═ დახოცილ სომხების დასაფლავების დროს რევოლიუციონერებმა მანიფესტაცია მოახდინეს შაჰის წინააღმდეგ.

✦ ყველაფრიდან ირკვევა, რომ სათარხანის მდგომარეობა სპარსეთში თანდათან მტკიცე ნიადაგს ჰპოულობს. იგი ხერხიანად იყენებს სპარსეთის ამბოხებას და თავის გავლენას ნელ-ნელა თავრიზის გარეთაც ავრცელებს. მთავრობის გუბერნატორები თავქუდ-მოგლეჯილები გარბიან. ბრძოლა ქალაქში ფიდაიებსა, კონსტიტუციის მომხრეთა და შაჰის მომხრეთა შორის დიდხანია შესწყდა. უკანასკნელი საბოლოოდ დაამარცხა სათარხანმა.

ამ საერთო გმირმა დიდი სიმპატია მოიპოვა ოსმალეთის ქვეშევრდომთა შორის. პირველ ნოემბერს სათარხანს წარუდგა ახალგაზდა ოსმალთა დეპუტაცია და გადასცა საპატიო ნიშანი და რწმუნების წერილი, რომლითაც სათარ-ხანის ყოველი მოქმედება მოსაწონადაა აღიარებული. სულთანმა ორდენი უბოძა სათარხანს ზედ-წარწერით: „გმირობისათვის“. ეს ორდენი სათარ-ხანს საკუთარის ხელით ჩააბარა ოსმალეთის კონსულმა.

სათარ-ხანს ოსმალეთის აფიცრები თურმე ეხმარებიან თავრიზში ციხე-სიმაგრეების აგების საქმეში. თუ

ვინიცობაა შაჰის მხედრობა თავრიზს შემოერტყა, სათარხანიც მარჯვედ დაუხვდება.

✦ მიუხედავათ იმისა, რომ შაჰმა რუსეთისა და ინგლისის მთავრობებს აღუთქვა, მეჯლისს მოვიწვევ და კონსტიტუციას განვახორციელებო, ეხლა სხვა ხერხს მიჰმართა: თავის „განსაცხრომ“ ადგილს ბაღეშაჰში თავი მოუყარა კამარილიის ერთგულ ფინიებს და შეეკითხა, რას იტყვით, ხომ წინააღმდეგია შარიატისა კონსტიტუციაო.—რასაკვირველია, წინააღმდეგიაო! — მიუგეს ერთგულმა ფინიებმა. მაჰმადის სჯული უარჰყოფს ყოველგვარ თავისუფლებასო...

ასე მსჯელობს ერთი მუჭა ჯგუფი უვიც რეაქციონერებისა, მაგრამ ასე არ ფიქრობს უმრავლესობა მშიერ და გაღატაკებულ ხალხისა. „თავისუფლების ღმერთი“ განუწყვეტლად თავს დასტრიალებს ბეჩავ ხალხს და წამ და უწუმ ყურთ ჩასძახის, რომ ქვეყნად მხოლოდ ერთი მუჰამედი იყო და თუ ოსმალეთის მაჰმადიანებს არ უკრძალავს შარიატი კონსტიტუციას, სპარსეთის მაჰმადიანები ვითომ რა უკანონო შვილები არიან ამ შარიატისა.

ოსმალეთი.

სტამბოლი. 150 მაზრიდან, რომელიც 60 სანჯაყს შეადგენს, არჩეულია 101 დეპუტატი. ამათგან 85 ოსმალოა, 10 ბერძენი, 2 სერბი, 2 სომეხი, 1 ბოლგარი, 1 ებრაელი. ახალგაზდა ოსმალთა კანდიდატების რიცხვი, რომელთაც ხმის უმეტესობა მიიღეს, 39-ს შეადგენს.

არჩევნები მაკედონიის ოლქშიც დასრულდა. აირჩიეს მხოლოდ 4 ბოლგარი. მაკედონიაში მცხოვრები ბოლგარელები მეტად უკმაყოფილონი არიან ამ არჩევანით და ამბობენ, ეს ახალგაზრდა ოსმალთა ანტიბოლგარულ მიმართულებისა და მთავრობის უკანონო მოქმედების შედეგიაო.

✦ „იკდამი“ იუწყება, ერზინჯანსა, მუშსა, სასუნსა, ბაიაზეთსა, ვანსა, მალათსა, სივასსა, არზრუმსა და მარაშში შიმშილობა გაჩნდაო.

✦ გაზ. „ტანინ“ სწერს, კრიტოსზე სერიოზული აჯანყება გამოიწვია მუსულმანთა სოფლებზე ბერძნების თავდასხმამაო.

✦ ბერძნები არ სცხრებიან და საცა კი გარემოება ხელს უწყობთ, ყველგან არეულობას ახდენენ არჩევნების წინააღმდეგ. სამს ნოემბერს ხელახლა გამართეს მანიფესტაცია, რომელშიაც დიდძალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ბერძენთა საკრებულო ტაძართან დიდი მიტინგი გამართეს. შუადღისას რამდენიმე ათასმა ბერძენმა გაიარა სტამბოლი და პორტას შენობასთან დემონსტრაცია მოახდინა. პორტაში ამ დროს მინისტრთა საბჭოს სხდომა იყო. მიწათ-მოქმედების მინისტრს მავროკორდატოს, შთამომავლობით ბერძენს, მიანდო მინისტრთა საბჭომ მანიფესტანტ ბერძნების დამშვიდება. ამავე დროს დიდმა ვეზირმა მიიღო ბერძენთა დეპუტაცია და განუცხადა იმათ, რომ ბერძნებს საშუალება აქვთ პროტესტი განაცხადონ არჩევნების შესახებ პარლამენტში, ხოლო მანამდე კი შეუძლიანთ თავიანთ რწმუნებულების საშუალებით შეამოწმონ არჩევნებიო. მანიფესტანტებმა ხმაურობა ასტეხეს, ერთმა მათგანმა შუშა ჩაუმტვრია მავროკორდატოს კარეტას. მავროკორდატო ამ დროს პერუს მიდიოდა ბერძნებთან მოსალაპარაკებლად. ამავე კარეტაში მჯდომს ბერძენთა ეპისკოპოსს სცემეს. მანიფესტანტები, ზოგი ჯარმა გაჰფანტა, ზოგიც თავისით წავიდნენ. საღამოს სიწყნარე ჩამოვარდა. ქალაქში პატრულები დადიან.

✦ პერუსა და გალატში საპარლამენტო არჩევნების გამო ქუჩებში უწესოებას ახდენენ ბერძნები. ზოგმა ბერძენმა ვაჭარმა 8 ნოემბერს მაღაზია დაჰკეტა. უფრო უარეს მანიფესტაციის მოლოდინში მყოფმა მთავრობამ 9 ნოემბერს სამხედრო ზომებს მიჰმართა

ბალკანეთის საქმე.

ბელგრადი. გამოქვეყნებულია მთავრობის განცხადება, რომლითაც უარყოფილია ის ხმა, ვითომც ოსმალეთსა და სერბიას შორის სამხედრო კონვენცია დადებულიყოს.

— ვენის გაზეთი „ნ. ფრ. პრესსე“ სწერს, დალმაციის ყველა ნავთსადგურებში ჯარებით დატვირთეს ის გემები, რომელნიც ჩერნოგორიის საზღვრებისაკენ მიდიანო.

— მეგობარი სახელმწიფონი დაჟინებით თხოულობენ, რომ სერბიის მთავრობამ დაითხოვოს სათადარიგო ჯარის კაცნი. ამავე დროს ავსტრია საჩქაროთ უმატებს თავის გარნიზონს ბოსნიაში და დიდძალ ჯარს აგროვებს ჩერნოგორიის საზღვრებზე, აგრეთვე სამხედრო სურსათი თი და მოწყობილობა მასგარიდან ტრებინიესა და გრაბში გადააქვს.

ტრებინიეს გარნიზონს კიდევ მიემატა 10,000 მომარი. ყველა მთის გზები, რომლითაც კი ჩერნოგორელთ შეეძლოთ სარგებლობა, ნაღმებით არის მოფენილი.

ბუდაპეშტი. „პესტერ ჟურნალში“ მოყვანილია წერილი ერთის დიპლომატისა, რომელიც ბერლინის კონგრესზე დაესწრო. დიპლომატი, სხვათა შორის, სწერს, რუსეთმა უკვე 30 წელიწადია სრული ნება მისცა ავსტრო-უნგრეთს შეერთებინა ბოსნია-ჰერცოგოვინა თავის სანჯაყებით... აქამდე არავინ იცის, რომ სამაგიეროთ ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული შეთანხმება მოხდა. ავსტრო-უნგრეთმა აღუთქვა რუსეთს დიპლომატიურ სფერაში მხარს დაგიჭერ ბერლინის ხელშეკრულობის გატარების დროსაო.

ამერიკა. შეერთებულ შტატების პრეზიდენტად აირჩიეს ტაფტი. მიუხედავათ იმისა, რომ ბრაიანი სცდილობდა პრეზიდენტობას და დიდი ფული და ენერგია დახარჯა იმისმა პარტიამ, გაისმა თუ არა ხმა ტაფტის

არჩევისა, ყველას ბრაიანმა მოასწრო და პირველმა მან მიულოცა ტაფტის გამარჯვება.

არა ჰგვანან ამერიკელებს ჩვენებური კენჭოსნები!..

ჩინეთი. ამ თვის პირველ რიცხვებში გარდაიცვალა ჩინეთის იმპერატორი და რამდენიმე დღის შემდეგ მას მიჰყვა იმპერატრიცაც, რომელიც იმპერატორის დედათ იწოდებოდა, თუმცა დედა არ იყო. ტახტის მემკვიდრეთ დანიშნეს მცირე წლოვანი პრინცი, შვილი ჩუანისა. რეგენტათ დაინიშნა თვითონ პრინცი ჩუანი.

მიცვალებულთ სამს თვეზე ადრე არ დაასაფლავებენ.

სომეხთა შორის

სრულიად სომეხთა კათოლიკოსად აირჩიეს **იზმირლიანი.**

— სომეხთა საქველმოქმედო საღამო ადესაში გაიმართება 2 დეკემბერს. შემოსავალი მოხმარდება ადესაში მცხოვრებ ღარიბ სომხებს.

— 6 ნოემბერს განჯაში პოლიციამ გაჩხრიკა 13 სახლი სომხისა. დააპატიმრეს ნ. ბაბაკევხიანი, ი. მელიქ-ბეგლიარიანი, ა. თამურიანი, მ. ამასპიურიანი, ხორენ მელქონიანი, ი. არზუმანიანი და კ. აკიმიანი.

მუსულმანთა შორის

თფილისის მუსულმან სუნიტთა საქველმოქმედო საზოგადოების კრებაზე სჯა იქონიეს იმის შესახებ, თუ ვის არგუნონ სტიპენდია გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა თფილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში.

წერილი ავსტრიიდან.

მთავრობის ახალი კანონ-პროექტი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მეტად დიდ მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა განიზრახა ავსტრიის მთავრობამ სოციალურ პოლიტიკაში. ამ დღეებში მან გამოაქვეყნა ახალი კანონ-პროექტი შესახებ „სოციალურ დაზღვევისა“,—ეგრე ეძახის ის მუშათა სიბერისა და ინვალიდობისგან (დასახიჩრება-დაუძლურებისგან) დაზღვევის კანონს. ეს კანონ-პროექტი სულ მალე გადაეცემა პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად. თუმცა დიდიხანია მუშათა კლასი ითხოვდა ამგვარ კანონის გამოცემას, მაგრამ ძლიერნი და მმართველნი ამა ქვეყნისა სდუმდენ, ყურს არ აფაჩუნებდენ და აგვიანებდენ ამ მხრივ მშრომელ, დაჩაგრულ მასსის სასარგებლოდ რაიმე ნაბიჯის გადადგმას. ისინი სდუმდენ, ვ დრე ეს დუმილი შესაძლებელი იყო. მაგრამ ცხოვრებამ მაინც თავისი ჰქნა, მან აიძულა ბიურო-კამარილა მუშათა დაუძლურება-დასახიჩრებისაგან დაზღვევის საქმეში თვალსაჩინო ცვლილება შეეტანა. ამ კანონ-პროექტით მუშა უზრუნველყოფილია რაიმე უბედურების და სიბერის დროს; მას იმედი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მიერ დახმარებისა, ეხლა მას აღარ დასტანჯავს მწარე აზრი შავ დღის მოახლოვებისა, როდესაც მას უსახსრობის გამო შიმშილსიცივეში სული უნდა დაელია, ანუ როდესაც მშიერს ქუჩაზე მათხოვარსავით პური უნდა ეთხოვა. სამწუხაროთ, კანონ-პროექტში სიბერე 65 წლით განისაზღვრება. ყველამ კარგად ვიცით, რომ მუშა იშვიათად უძლებს 65 წლამდე მძიმე შრომის პირობებს; ის გაცილებით ადრე იძულებულია ან შრომას თავი გაანებოს ან და წუთი-სოფელს გამოესალმოს. დიდი ნაკლი კანონ-პროექტისა მდგომარეობს იმაში, რომ ქვრივ და ობოლთა უზრუნველყოფის საკითხი სავსებით უარყოფილია, სამაგიეროდ შიგ ჩართულია წვრილ მესაკუთრეთა დაზღვევა სიბერისაგან. მაგრამ სანამ კანონ-პროექტს გავეცნობოდეთ უფრო დაახლოებით, გადავავლოთ თვალი მის წარმოშობის ისტორიას.

თითქმის ოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც გერმანიაში სიბერის და ინვალიდობისაგან დაზღვევის კანონი არსებობს. სულ მალე იქაური მთავრობა პარლამენტს წარუდგენს ახალ კანონ-პროექტს შესახებ ქვრივ და ობოლთა სიცოცხლის უზრუნველ-ყოფისა. ამ აუცილებელ საჭირო საქმისათვის,—როგორც არსებულ დაზღვევის შესახებ კანონის შევსება-შესწორება,—დიდიხანია წინასწარი მზადება გაჩაღებულია. ამ გარემოებას თუ მხედველობაში მივიღებთ, უნდა აღვიაროთ, რომ ავსტრიელთა მედიდური ამაყობა,—„აი, დახეთ რას ვახორციელებთ ჩვენო“,—უსაფუძვლო და არა სამართლიანი იქნებოდა. მხოლოდ ერთის თქმა დარწმუნებით შეიძლება: დღესაც მთავრობის პროექტის ნატამალიც არ იქნებოდა, რომ ავსტრიის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შესაფერი, მხნე და გაბედული მოქმედება არ ეწარმოებინა. ლაპარაკიც მეტია იმის შესახებ, თუ რის გამკეთებელი შეიქნებოდენ აქაური „ქრისტიანულ-კლერიკალ-სოციალისტები“,—ეს უძლიერესი პარტია ავსტრიაში. ისინი ამისათვის თავს არ იწუხებდენ და მუშათა ყოველგვარ დაზღვევის საჭიროებაზე მითითებას ს.-დემოკრატიულ პარტიის მიერ, გაშმაგებული ღრიალით იგერიებდენ, „თავი დაგვანებეთ, ნუ გვაწუხებთ, მუშის საქმე ჩვენ დღეს ყველაზე ნაკლებად გვაინტერესებსო“. მაგრამ ამგვარი ცხადი, ყველასათვის გასაგონი უარისყოფა მუშათა დაზღვევის საკითხისა მათ მიერ დიდხანს ვერ გასტანდა და, მართლაც, საყოველთაო საარჩევნო კანონის შემოღების შემდეგ, ისინი იძულებულნი ხდებიან ფრონტი შეაბრუნონ და ახალი, ფარული გაიძვერული პოზიცია დაიკავონ. ეხლა მათ მოტყუილებით, უბრალო დაპირებით უნდათ მოიგონ ამომრჩევლის გული, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განუსაზღვრელი ბატონობა, მისი უპირატესობა და მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკურ საქმეებში შეიძლება გაბათილებულ იქმნეს. და აი, ქრისტიანულ-სოციალური პარტია საარჩევნო კამპანიაში მშრომელ მასსის ინტერე-

სების დამცველად გამოდის, ამრჩეველს ის თავ-ბრუს ასხამს სხვადასხვა დაპირებებით და ამგვარათ პოლიტიკურ ცხოვრების ბორბალს ხელთ იგდებს. რა გზას ადგება ეხლა ის პარლამენტში, როდესაც დაპირების აღსრულებაც შესაძლებელი შეიქნა?

ისევ ძველ ხრიკებით, ნაჩვევ ფლიდობა-გაიძვეროებით, მხოლოდ გამოცვლილ ფორმით გამოდის ცხოვრების ასპარეზზე, რომ ამრჩეველთ ანგარიში მისცეს. როდესაც ს.-დემოკრატიული ფრაქცია ითხოვს მუშათა კლასის დაზღვევის საკითხი განხილულ და გადაჭრილ იქმნას, რადგან ამ კანონის გამოცემისთვის საჭირო პირობები სავსებით მზად არიანო, ცენტრი, ე. ი. „ქრისტიანულ-სოციალური“ ფრაქცია ვერაგულათ აცხადებს: ჩვენ არ ვარჩევთ მუშას გლეხისაგან, ხელოსანს მოხელესაგან და თუ კანონი იქნება გამოცემული, ის საზოგადოების ნაწილებს უნდა ეხებოდესო. ეჰვს გარეშეა, ამის მოწინააღმდეგე არც ს.-დემოკრატია იქნებოდა, რომ ერთი გარემოება არ იყოს სახეში მისაღები. საქმე იმაშია, რომ ამგვარი კანონის დაუბრკოლებრივ ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ერთგვარი წინასწარი შემზადება, მაგ. სტატისტიკის შედგენა, ადგილის მიხედვით წვრილ მესაკუთრეთა დიფერენციაცია, ფინანსების გასაძლიერებლად სხვადასხვა წყაროების აღმოჩენა, თანაბარი ორგანიზაციების გაჩაღება მასსაში და სხვა-და სხვა...

ეს ყველაფერი წვრილ მესაკუთრეთ აკლდათ, მაშინ როდესაც მუშათა კლასში ყველაფერი მზათ იყო და მხოლოდ პარლამენტის სანქცია აკლდა. ცხადია, თუ „ქრისტ. სოციალ.“ პარტია საყოველთაო დაზღვევაზე ლაპარაკობდა, ამით მას მხოლოდ საქმის გაჭიანურება უნდოდა და საკითხის გადაჭრის შორეულ მომავლისათვის ჩაბარება. აი, რა მოტივით ხელმძღვანელობდა ეს პარტია, როდესაც მუშათა დაზღვევის კანონს წინ უყენებდა საყოველთაო სოციალურ დაზღვევას. დღეს მთავრობის კანონ-პროექტი გამოქვეყნებულია და „ქრისტ. სოციალ.“ გავლენა ამ კანონ-პროექტის შინაარსზე აშკარაა. საგულისხმოა მისი გაგება, თუ თვით მთავრობა რით ხსნის თავის კანონ-პროექტის წარმოშობა-შემუშავებას. ის გულ-წრფელათ გვიტყდება თავის კანონ-პროექტის შესავალში, რომ მისი პროექტი **ბუნებრივი ნაყოფია** ერთის მხრივ—საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, და მეორეს—ს. დემოკრატიულ პარტიის თავგანწირულ, დაუცხრომელ ბრძოლისა, რომ თუ ეს ორი უაღრესათ მნიშვნელოვანი მომენტი არ იქნებოდა, ისე გაბატონებული, მმართველი კლასი ამგვარ დიად კანონს არასოდეს მშრომელ მასსას არ აღირსებდაო. მართლაც, ობიექტიური მხარე საქმისა ცხადჰყოფს, რომ ს.-დემოკრატიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ. დიდი ხნიდანვე მუშათა ყველა პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციები შესაფერ კანონის საჭიროების შესახებ შეუწყვეტელ აგიტაციას ეწეოდენ, მრავალრიცხოვან მასსიურ დემონსტრაციებს მართავდენ. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატია ყოველ გამოჩენილ შემთხვევით სარგებლობდა, რომ დაზღვევის კანონის უაღრესი საჭიროება აღენიშნა და გაევრცელებინა ფართო მასსაში. თავის მხრივ, მუშათა კლასის წარმომადგენლები, როგორც წინანდელ, ცენზიან, ისე საყოველთაო არჩევნების პარლამენტში ყოველგვარ პარლამენტარულ საშუალებებს ხმარობდენ, რომ კანონისთვის საჭირო წინასწარი მზადება დაეჩქარებინათ. ექვსი წლის განმავლობაში 5006 პეტიცია იქმნა პარლამენტში წარდგენილი მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. 1902 წელში მთავრობა პირდება პარლამენტს თავის მუშაობის ნაყოფის გამოქვეყნებას. დაპირებას მხოლოდ 1904 წელში ასრულებს. ამ წელს გამოდის კობერის „მუშათა დაზღვევის საკითხის შემუშავების და რეფორმის პროგრამა“, რომელიც ძლიერ სუსტათ და ზერელეთ ჭრის მუშათა დაზღვევის საკითხს. ამ პროგრამის სასტიკმა კრიტიკამ პრესაში, მისი ნამდვილი სარჩულის გამომზეურებამ ს.-დემოკრატთა მიერ საჯარო კრებებზე, მისი ნაკლულევანების და უვარგისობის აღნიშვნამ და მუშათა ორგანიზაციებისაგან „ავათმყოფთა კასის“ დაწესებამ, უეჭველათ დიდი გავლენა იქონია მთავრობის ეხლანდელ კანონ-პროექტზე. ერთი სიტყვით, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ეგრე მკაფიოთ, მტკიცეთ და შეურყევლათ არ დაუცავს მუშათა დაზღვევის კანონის საჭიროება, როგორც ეს დიდებულათ, სახელოვანათ ს.-დემოკრატიულ პარტიამ ჩაატარა; და თუ სხვა პარტიები ამ მოთხოვნილებას ყურს უგდებდენ და იცავდენ, ისინი სოციალდემოკრატიას კუდში მისდევდენ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ს.-დემოკრატია მათ ამ გზაზე მიერეკებოდა, პირდაპირ თან გაყოლას აიძულებდა

მ. მგალობლიშვილი.

(დასასრული იქნება)

აკაკის იუბილეს გამო.

(მცირე შენიშვნა).

გული სიამით გიცემს, როცა ნათლათ და აშკარათ ხედავ, რომ ჩვენი დიდებული და სახელოვანი მგოსნის პატივსაცემათ მთელი ერი ასე დიდებულათ ემზადება. მაშ ჩვენ, ქართველებსაც შეგვძლებია დაფასება მისი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე, სიყმაწვილე და კეთილდღეობა შესწირა თავისს ღვთაებას, ერს. არც ერთს ჩვენს მოღვაწეს არ დაუმსახურია ისეთი სიყვარული და პატივისცემა ხალხისა, როგორც აკაკის: მისი საუცხოვო ლექსები ვის არ უქარვებენ დროებით მაინც მწუხარებას. იმის ლექსთა სიმშვენიერით სტკბება მცონარე ფეოდალიც, ცხოვრების ბრძოლაში ჩართული ბურჟუაც და ყოველდღიურ უზომო ჯაფით დატანჯულ მუშასაც გულს უფონავენ და ტვირთს უმსუბუქებენ. მისს ლექსებს დაჰღიღინებს გურულის ტურფა ქალიც თავის განუყრელ გიტარაზე და მეგრელი, მშვენებით შემკული „ცირაც“ თავის ქმუნვის გამქარვებელ ჩონგურზე. ასე. გასინჯეთ, ბედკრულ აფხაზის წყვდიადით მოცულ ცხოვ-

რებაშიაც შეუხედნია მისი ზეგარდმო მადლით ცხებულ ნიჭს და იქაც არა იშვიათათ გაისმის „ერთობა ჩვენთვის ტახტიაო!“ დიახ, ვემზადებით, ყველა ვემზადებით, რომ შეძლებისადაგვარათ დიდებული მგოსნის წინაშე ჩვენი ვალი მოვიხადოთ, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის პატივი ვსცეთ მას! ჩემის ფიქრით, თუ გვინდა მის წინაშე ჩვენი ვალი მოვიხადოთ, როგორც მან პირნათლათ მოიხადა თავის სამშობლოს ენაშე, თავისი ვალი, უნდა ეხლავე, დაუყოვნებლივ შევუდგეთ აკაკის თხზულებათა სრულ კრებულის გამოცემას და მით ფართოდ მივსცეთ გზა ხალხის გულში სავსებით შეაშუქოს და შეანათოს მისმა მადლიანმა ნიჭმა. ამისთვის არ ყმარა, როგორც საიუბილეო კომიტეტს გარდაუწყვეტია, ზოგიერთ მის ნაწარმოების ცალ-ცალკე გამოცემა. რასაკვირველია, ასეთი გამოცემანი საჭიროც არის და სასარგებლოც, მაგრამ მაინც არ ყმარა. საჭიროა და ძლიერ საჭიროც, რომ სრული კრებული გამოიცეს. ამიტომ საჭიროა დროთი ვისარგებლოთ და ეხლავე გავმართოთ საყოველთაო ხელის მოწერა მის თხზულებათა კრებულზე და ისე მოვაწყოთ პროვინციელ საიუბილეო კომიტეტების შემწეობით საქმე, რომ საიუბილეო დღისათვის ხელის მოწერა უკვე გათავებული იყოს და გადასახადის პირველი ნახევარი მაინც უნდა შეტანილი იქმნას ტფილისის კომიტეტში. ჩვენი სილარიბეზე წუწუნი აქ მოსატანი არ არის: მეტი მხნეობა და უნარი, და ჩვენც ერთის წლის განმავლობაში გვექნება საყვარელ პოეტის თხზულებათა სრული კრებული. ამით ჩვენ ბრწყინვალეთ ვიდღესასწაულებთ მისს დღეობას, თან მატერიალურის მხრივ მისი უკიდურესი მდგომარეობა არ იქნება დავიწყებული: ცოტაოდენ შემწეობას აღმოვუჩენთ ჰონორარის სახით. გამოცემით კი უნდა გამოიცეს ყველა მისი ნაწერები, წვრილმანი, საგაზეთო სტატიებიც კი. სხვა რომ არა იყოს რა, ამ წვრილმან მასალას შეუძლია დაუფასებელი სამსახური გაგვიწიოს ენის მხრივ მაინც.

ნიკო ჯანაშია.

მშიერის ამოსნაკვნესი

—

ყოველ კუთხიდან ყურს მომესმის
ხმა, შურის გებით,
შავ-ბნელ აჩრდილის ვერაგული,
ხითხით-სიცილი.
იგი მომძახის ირონიულ
უკმეხ სიტყვებით:
სად, სად გაჭრაო შენი რწმენა,
სურვილ-წადილი.

—

მე კბილთა ღრჭენით მსურს შევკივლო:
ტყვილა დამძახი!
ვერ შეგმაშინებს ეგ ბრჭყალები,
რისხვა, ქადილი.
აღსდგება მეთქი კვალად მკვდრეთით
მშრომელი ხალხი
და მოგესპობა ჩვენს სისხლ-ხორცზე
ლხინი, სადილი.

—

მაგრამ ამაოდ... მე მისგანვე
მშიერს და მწყურვალს
არ შემწევს ძალი, ვარ ძვლად ქცეულ
წელში მოხრილი
და, სულიერად ბრაზით სავსეს,
სიცოცხლის მძულვარს,
ჩამომჩქეფს ცრემლი, ვგდივარ პირქვე,
სასო მიხდილი.

—

და ისევ ვსდუმვარ, ვსდუმ-პირქუშად
მსხვერპლი შავ-ბედის
აღარვინ მახსოვს, დამვიწყნია
თვით ჩემი თავი.
აღარც მშივრების მოხუცებულ
მშობელი დედის
და წვრილ ცოლ-შვილის კვნესა გმინვა
გულ-შემზარავი.

—

ყველა ესენი აღარ მესმის
უგრძნობლად ქმნილსა,
წივილ-კივილი, ხორცის ბლეჯვა
გულის მბრაზავი
გაჭრა ყოველი! შიმშილისგან
ველი სიკვდილსა.
დედავ! ცოლ-შვილო! გათხრილია
ჩვენთვის საფლავი.

გ. ქუჩიშვილი.

მეფე შიმშილი.

(თხზ. ლეონიდ ანდრეევისა)

წარმოდგენა ხუთ სურათად, პროლოგით.

სურათი პირველი

მეფე შიმშილი ასაჯანყებლად იწვევს მუშებს.

პირველი, რაც ძლიერ იპყრობს გარეშე მაყურებელს, ეს მრავალ ხმოვანი, რთული, მაგრამ რითმიული ხმაურობაა მომუშავე მანქანათა და მათთან მდგომ ათას ადამიანთა. თანასწორი, მძიმე გმინვა ორთქლსადენისა, შიშინ-ბზუილი მოტორიალე ბორბლებისა, შრიალი განუწყვეტლივ მსრბოლ თასმებისა, ყრუ, იშვიათი, დედამიწის შემძვრელი კაკა-კუკი დიდრონ მექანიკურ ჩაქუჩებისა. ამ მკვდარ, მძიმე და სასტიკად უცვლელ ხმაურობაში, რომელიც თითქო ადამიანთა სურვილ-ნებას აღარ ექვემდებარება,—გამოისმის ცოცხალი, ცვალებადი, მაგრამ მწყობრი კაკი-კუკი ურიცხვ პატარა ჩაქუჩებისა. ტონითა და ხმის ძლიერებით სხვადასხვანი, ისინი ხან შეერთდებიან საერთო ცოცხალ მოლაპარაკე ნაკადულებად, ხან განცალკევდებიან, გაითიშებიან, სუსტდებიან, მწუხარე კილოს ღებულობენ და ჩუმდებიან—ვითა ქორისაგან ტყეებში განფანტული მგალობელ ფრინველთა გუნდი. საერთოდ გაისმის რაღაც თანხმობა, რაც ადამიანს **დროს** სიმღერას აგონებს.

ფარდის ახდის დროს გამოჩნდება წითლადა და შავად მოელვარე შინაგანი სახე ქარხნისა. წითელი, ცეცხლის ფერი—ეს ქურადან გამომკრთალი სურათია; გავარვარებულ რკინათა ზოდებს, რომელსაც უხვად სცვივა ნაპერწკლები, ჩაქუჩებს ურტყამენ შავნი აჩრდილნი ადამიანთა. შავი, უფორმო, განუჭვრეტელ წყვდიადის მსგავსი რამ—ეს უზარმაზარ მანქანის, ამ საოცარ მოწყობილების ცალი მხარეა, იმ მანქანისა, რომელიც ღამის მაჯლაჯუნასავით გამოიყურება. პირქუშნი, უგულისთქმონი დასწოლიან ადამიანთ და თვისის განუზომელის სიმძიმით სჭყლეტენ მას. მათ ქვეშ შემდგარი ბორჯები საშიშარ მხეცთა მსგავსნი არიან; მათი შავი, მრისხანე მასსა (ერთიანობა) პირუტყვთა ტანს, ან ფრთა-გაშლილ უზარმაზარ ფრინველსა, ამფიბიოს, და, ხომეროსა ჰგავს. სიმძიმე, მოსვენება და წყვდიადია, და თითქოს ყოველის მხრიდან იმზირებიან ფართოდ გაღებული უმოძრავო ბრმა თვალები.

პატარა, შავი აჩრდილივით ფუსფუსებენ ქვემოდ ადამიანები. მოუსვენრობა არ არის იმათ მოძრაობაში, არ არის ცოცხალი და გატაცებული თავისუფლება მიხვრა-მოხვრაში. ლაპარაკიცა და მოძრაობაც ზომიერი და მექანიკური აქვთ, შემწყობრებული ჩაქუჩთა ხმასა და მანქანის მუშაობასთან. და როდესაც ვინმე გამოცალკევდება, კაცს ეგონება შავს მანქანას, ამ საშინელ მოწყობილებას, ამ გამოუცნობელს გველ-ვეშაპს ერთი-ერთი ნაწილი აეტკეჩაო.

მაგრამ მანქანათა და ჩაქუჩთა ხმა ხან ძლიერდება, ხან სუსტდება. და ადამიანთა ხმაც შეუმჩნევლად უერთდება ამ ხმას, მათსავით ხან ცოცხალი და წკრიალაა, ხან ყრუ, ნაწყვეტ-ნაწყვეტა, ჩლუნგი, ვითა მკვდარი.

მუშათა ჩივილი.

— ჩვენ გვშიან.
— ჩვენ გვშიან.
— ჩვენ გვშიან.

სამჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დაჰკრავს გრდემლი.

— ჩვენ გასრესილნი ვართ მანქანებისაგან
— ვიხრჩობით იმათ სიმძიმის ქვეშ.
— რკინა გვაწვება.
— თუჯი გვლუნავს.
— ოჰ, რა ულვთო საქმეა! თითქო მთა დამწოლია თავზე.
— ჩემ თავზე მთელი დედამიწაა.
— ოჰ, რა ულვთო სიმძიმეა.

გრდემლის ცემა.

— მე რკინის გრდემლი მჭექავს. სისხლად მწურავს ძარღვებიდან—ძვლებს მიჩეჩქავს, ყავარივით მაბრტყელებს.

— ჯანდარაში სჭიმავენ ჩემს ტანს და ისე მივიწროვდება ეს ტანი; თითქო მავთულიაო. სად არის ჩემი ტანი? სად არის ჩემი სისხლი? სად არის ჩემი სული?

— მე ბორბალი მატრიალებს.

— დღე და ღამ ღრჭიალებს ხერხი, ფოლადს ხეხავს. ღამე ჩემს ყურებში ისმის ხერხის ჭრიალი, ფოლადსა ხერხავს. ყველა სიზმრები, რასაც მე აქ ვხედავ, ყველა სიტყვები რაც მე აქ მესმის, ეს ფოლადის მჭრელ ხერხის ჭრიალია. რა არის ცა? ეს არის ხერხის ჭრიალი, რომელიც ფოლადსა ხერხავს დღე და ღამ.

— დღე და ღამ.
— დღე და ღამ.

სამჯერ დაჰკრავს გრდემლი.

— ჩვენ გასრესილნი ვართ მანქანებისაგან.

წკრიალა მოქცეითინე ხმა.

— ჩვენ თვითონ მანქანათა ნაწილები ვართ.
— მე გრდემლი ვარ.
— მე შრიალა თასმა ვარ.
— მე ბერკეტი ვარ.

სუსტი ხმა:

— მე პატარა ჭახრაკი ვარ, ორათ თავგაჭრილი. ჩარჭობილი ვარ ყრუდ და ხმას ვერ ვიღებ. მაგრამ მეც სხვებთან ერთად ვთრთი და განუწყვეტელი გრგვინვა ისმის ჩემს ყურებში.

— მე ნახშირის პატარა ნატეხი ვარ. ჩამაგდებენ ხოლმე ღუმელში, ცეცხლათ ვიქცევი და სითბოს გამოვცემ. ხელახლათ ჩამაგდებენ ღუმელში და ხელახლათ ვინთები დაუშრეტელის ცეცხლით.

— ჩვენ ცეცხლი ვართ. ჩვენ გავარვარებული ღუმელი ვართ.

— არა, ჩვენ საზრდო ვართ ცეცხლისა.
— ჩვენ მანქანები ვართ.
— არა, ჩვენ საზრდო ვარ მანქანებისა.
— მეშინიან.
— მეშინიან.

გრდემლის ხმა.

ისმის შემკრთალი და მწუხარე ხმები:

— ო, საშინელო მანქანებო!
— ო, ძლიერო მანქანებო!
— ვევედროთ, ვევედროთ მანქანებს.

მანქანათა ჰიმნი.

— ვინაა ქვეყნათ უძლიერესი? ვინაა ქვეყნათ უსაშინლესი? მანქანა. ვინაა ყველაზე უმშვენიერესი, უმდიდრესი და უბრძენესი? მანქანა. რა არის დედამიწა? მანქანა. რა არის ზეცა? მანქანა. რა არის ადამიანი? მანქანა, მანქანა.

მწუხარედ და მწყობრად სამჯერ დაჰკრავს გრდემლი.

— შენ, ქვეყნის ბატონო;—შენ მფლობელო ჩვე-

ნის ხორცისა, აზროვნებისა და სულისა; შენ, მშვენიერო, უკვდავო და უბრძენესო მანქანავ, შეგვიწყალენ ჩვენ! ნუ დაგვხოცავ, ნუ დაგვასახიჩრებ, ნუ გვტანჯავ ასე საშინლად! შენ, გულქვათაგან უგულქვავესო, რკინისაგან გამოჭედილო, ცეცხლით მქმინავო—მოგვეცი თუნდაც მცირეოდენი თავისუფლება! შენს გამჭვარტლულ შუშათაგან, შენ მილთაგან ამომდინარე კვამლსა და ბოლს შორის ვერ განგვიცდია ცის სიმშვენიერე, ვერ დაგვინახავს მზე! შეგვიბრალე უბედურნი!

ერთის წუთით ჩაჩუმდებიან პატარა მმოძრავი ჩაქუჩები და სამჯერ ყრუთა და უწყალოდ დაჰკრავს ბნელაში დიდი გრდემლი. უკვე ისმის ცალცალკე აღშფოთებული ხმები:

— ეგ არ გვისმენს!
— ყრუა ეგ წყეული!
— ცრუობს!
— დაგვცინის!
— ჩვენ სხვისთვის ვმუშაობთ.
— ყველანი სხვისთვის ვართ.
— ჩვენ ზარბაზნებს ვასხამთ.
— ჩვენ წკრიალა რკინას ვჭედავთ.
— ჩვენ თოფის წამალს ვამზადებთ.
— ქარხნებს ვაკეთებთ.
— ქალაქებს.
— ყველანი სხვისთვის ვართ.
— ძმებო! ჩვენ საკუთარ ბორკილებს ვიჭედავთ.

ხშირი, ცოცხალი, მკაცრი, მრისხანე კაკა-კუკი პატარა მმოძრავ ჩაქუჩებისა და ამ კაკა-კუკის ხმაზე აყოლებული მრისხანე ხმები:

— ყოველი დაკვრა—ახალი რგოლია.
— ყოველი დაკვრა ახალი ბოქლომია.
— დაჰკარი რკინას.
— გასჭედე საკუთარი ბორკილი.
— ძმებო, ძმებო, ჩვენ ჩვენს საკუთარ ბორკილს ვიჭედავთ.

ყრუ ხმა დიდის გრდემლისა შესწყვეტავს ამ ცოცხალ და მშფოთვარე ხმაურობას, და თითონ ურტყამს ერთგვარათ და მძიმედ.

— ვინ გვიხსნის მანქანის უფლებისაგან?
— ვინ გვაჩვენებს ზეცას?—მზეს?
— მეფე შიმშილი!
— მეფე შიმშილი!
— არა, ის მტერია ჩვენი. იმან შემოგვრეკა აქა!
— კი, მაგრამ იგივე გაგვიყვანს აქედან.
— დიდ არს უფლება იმისი! დიდ არს ძლიერება იმისი!
— საშიშარია იგი! ცბიერია და ცრუ, ბოროტია. იგი ჭკლავს ჩვენს შვილებს. ჩვენს დედებს რძე აღარა აქვთ, ძუძუ გაშრობიათ.
— საშიშარ აჩრდილათ მოსდგომია იგი ჩვენს საოდგომებს.
— იმას ვერსად გავექცევით. ის ყველგან არის ამ ქვეყნად.
— მესაპყრობილე!
— მკვლელი!
— მეფე შიმშილი! მეფე შიმშილი!

დაჰკრავს გრდემლი.

— არა, ის მოკეთეა ჩვენი. ვუყვარვართ ჩვენ და ჩვენთან ერთად სტირის.
— ნუ ჰგმობთ. თვითონ იგი უბედურია. და ის გვპირდება განთავისუფლებას.
— ეს მართალია. ის გვაძლევს ღონეს.
— ეს მართალია. რა არ შეუძლია ჩაიდინოს მშიერმა?
— ეს მართალია.
— ვისი მძვინვარება უსასტიკესია?
— ვისი გმირობა უფრო თავგანწირულია? რის უნდა ეშინოდეს მშიერსა?
— არაფრისა.
— არაფრისა. არაფრისა.

რამდენჯერმე დაჰკრავს გრდემლი.

— აქეთ დაუძახეთ მაგას!
— შიმშილო! შიმშილო! შიმშილო!
— მოდი აქ, ჩვენთან. ჩვენ მშიერნი ვართ, მშიერნი ვართ!
— დაჩუმდით, უგნურნო!
— შიმშილო! შიმშილო!
— მოდის!
— მეფე შიმშილო! მეფე შიმშილო!
— მოვიდა!
— მეფე შიმშილო!

შუა გულას, ქურადან გამომკრთალ მუქი ცეცხლის ალის ზოლზე საჭიროდ გამოჩნდება **მეფე შიმშილი**. ის მაღალის ტანისაა, გამხდარი და მოქნილი. დიდრონ, ვნებით აღსავსე, შავთვალებიანი სახე გამხდარი და გაფითრებული აქვს. თმებიც მოკლედა აქვს შეკრეჭილი გაწოწოლავებულ თავის ქალაზე. წელამდე გაშიშვლებულია და წითელ სინათლეზე გარკვევით მოსჩანს იმისი მეტათ დაძარღვული ტანი. მთლათ ის წარმოადგენს რაღაც მოკრუნჩხულს, შევიწროებულს რამეს, რომელიც მაღლა მიილტვის. მოძრაობაში **მეფე შიმშილი** მხნე და გაბედულია; ხანდახან, დაფიქრებისა და მწუხარების წუთებში, მეფურად დინჯი და დიდებულია. როცა რისხვა მოერევა, ან ეძახის ვისმე, ან სწყევლის—იგი ემსგავსება მსწრაფლათ მოტრიალე სპირალს, რომელიც თავის წამწვეტილ ბოლოს ზეცას სტყორცნის ხოლმე, და მაშინ ეტყობა, რომ თავის მოძრაობით, მსგავსათ გამხმარ ფოთოლთა აღმგველის გრიგალისა, იგი ყველაფერს იტაცებს დედამიწიდან, რაც კი მის გარშემოა, და ერთის ხელის გაქნევით, ზეცისაკენ სტყორცნის ყველაფერს. ხმა იმისი კეთილშობილური

და მკაფიოა, და იმის ქცევა აღსავსეა ულრმესის სინარნარით უბედურ ბავშვთა მიმართ.

განდეგილი.

(შემდეგი იქნება).

მწერლობა და მწერლები.

მომავალ წელს სრულდება 20 წელიწადი ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალებიდან. სარატოვის ლიტერატურულ საზოგადოების წევრს გორკოვს წინადადებით მიუმართავს ამ საზოგადოებისათვის, რომ ამ დღის აღსანიშნავათ განსვენებულ მწერლის სახლში, სარატოვში, გაიხსნას საისტორიო-სალიტერატურო მუზეი ჩერნიშევსკის სახელობისა.

— კიევში დასაბეჭდათ ამზადებენ მხატვრულ ლიტერატურის კრებულს პოლონურს ენაზე, სადაც მოთავსებული იქნება პოლონეთის გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებნი.

— პოლონეთის „სიძველეთა დამცველმა საზოგადოებამ“ მარმარილოს ფიცარი მიაკრა იმ სახლს, სადაც პოეტი იუ. სლოვაცკი ცხოვრობდა. ფიცარს შესაფერი წარწერა აქვს.

— აღკრძალეს უაილდის ცნობილ პიესის „სოლომეიას“ წარმოდგენა.

— ბელგიის აკადემიას გაწზრახვა აქვს ნობელის პრემიაზე კანდიდატათ წარადგინოს ემილ ვერჰარენი. ამის გამო ბელგიელი ახალგაზრდა მწერლები კამილ ლემონიესა და ედმონდ პაკარის მეთაურობით 17 ამ თვეს ბრიუსელის ერთ-ერთ თეატრში გამართავენ ვერჰარენის პატივსაცემელ ნადიმს. ამავე საღამოს წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები ვერჰარენის დრამატიულ ნაწარმოებიდან.

— გარდაიცვალა ცნობილი ფრანგი დრამატურგი ვიქტორიენ სარდუ.

— რუსულს ენაზე ხელმეორედ დაიბეჭდა რაფფის ცნობილი რომანი „ხენთი“, რომელიც კარა-მურზამ გადათარგმნა სომხურიდან.

— 28 აგვისტო, ლ. ტოლსტოის საიუბილეო დღე, შანჰაიში მყოფმა ჩინელებმაც დიდის პატივისცემით აღნიშნეს. ყველა გაზეთები იმის სახელს უძღვნეს. ჩინელებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ტოლსტოის ყველა თხზულებები გადათარგმნოს ჩინურს ენაზე. დეპეშის გარდა, დიდებულ მოხუცს გამოუგზავნეს ადრესი, დაწერილი ჩინურსა, ინგლისურსა, და რუსულს ენებზე. ადრესი შეადგინა გამოჩენილმა ჩინელმა მწერალმა კუ-გუ-მინმა.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. მარკოზოვი.**

განცხადებანი

ახალი გამოცემანი

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა- მესამე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის საწერ დედნისა და თორმეტი, ნოტებზე გადაღებული, სახალხო სიმღერა: ქახური, ქართლული, იმერული, გურული, მეგრული, სვანური. ფასი იგივეა.

დედა-ენა, ნაწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, დაბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს სხვილის ხელის დედნისას. ფასი იგივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეთექვსმეტე გამოცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუსულის პირდაპირის წერისას. ფასი იგივეა.

რვეულები, პირდაპირი რუსული წერისა, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში და გრიქუროვთან. ფასი სამი კაპეიკი.

ВЪ НОЯБРѢ ВЫХОДИТЪ

общественно-политическій, культурно-философскій, литературно-художественный, научно-популярный журналъ.

„ВОЗРОЖДЕНІЕ“

Журналъ ставитъ своей задачей всестороннее освѣщеніе общественно-политической жизни страны. Не связывая своихъ сотрудниковъ опредѣленными партійными рамками, онъ даетъ мѣсто представителямъ главнѣйшихъ теченій прогрессивной общественной жизни.

Журналъ видное мѣсто удѣлитъ вопросамъ городскаго мѣстнаго самоуправленій, окраинному и національному вопросамъ. Онъ привлекаетъ къ сотрудничеству представителей главныхъ національныхъ группъ, въ томъ числѣ армянской, грузинской, еврейской, польской, татарской (мусульманской), финляндской и др.

Принимая во вниманіе, что многообразная духовная жизнь русской провинціи не находитъ должнаго освѣщенія въ періодической печати, питающейся жизнью немногихъ культурныхъ центровъ, журналъ вводитъ отдѣлъ областныхъ писемъ съ участіемъ видныхъ провинціальныхъ дѣятелей. Въ отдѣлѣ научно-популярномъ журналъ въ общедоступной формѣ будетъ знакомить читателей съ новѣйшими научными изслѣдованіями во всѣхъ областяхъ знанія. Съ этой цѣлью онъ привлекаетъ къ участію компетентныхъ лицъ изъ числа профессоровъ и ученыхъ.

Въ журналѣ примутъ участіе виднѣйшіе политическіе дѣятели Запада: въ Германіи—К. Каутскій, во Франціи—Ж. Жоресъ, въ Италіи—Энрико Ферри, въ Бельгіи—Вандервельде. Въ спеціальныхъ статьяхъ они будутъ знакомить русскихъ читателей съ общественными теченіями Европы.

„Возрожденіе“ будетъ издаваться при ближайшемъ участіи

Г. В. ПЛЕХАНОВА.

Журналъ выходитъ въ Москвѣ разъ въ двѣ недѣли, не менѣе 100 печатныхъ листовъ въ годъ, иллюстраціями. Адресъ конторы и подробный списокъ сотрудниковъ будетъ напечатано на дняхъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ (съ доставкой и пересилкой)—4 р.; полгода 2 р.; три мѣсяца—1 р. Въ розничной продажѣ № стоитъ 20 коп.

Годовымъ и полугодовымъ подписчикамъ журнала „МНАТОБИ“а, дѣлается уступка 50 коп. при условіи, если они подпишутся на „Возрожденіе“ на годъ или на полгода.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1